ოთხშაბათი, 5 დეკემბ. 1907 წ.

# ისარი

წელიწადი პირველი № 268

გაზეთი «ისარი» ერთის წლით ღირს ტფილისში 7 მან., ნახევარი წლით—4 მან., ერთის თვით ტფილისში—75 კაპ. ტფილისს გარედ—80 კაპ. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ, სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ სადამოს 5 საათამდე ღირს 3 მან., ხუთი საათის შემდეგ—მეტი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «ისრის» რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია დიდხანს არ ინახავს, ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისათვის საჭიროა სატოსტო მარკები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან—40 კაპ.

ცალკე ნომერი ყველგან 5 კაპ.

რედაქციისა და კანტორის ადრესი: ტფილისი, ელისაბედის ქუჩა, № 1.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція «ИСАРИ»

ელისაბედ ისაკის ასული, კოსტა, თოჰა, შაქრო, ლუკა და ნიკო მოსულიშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას:—პირველი ძვირფას ქმრის, მეორენი—დაუვიწყარ მამის

ლუკა ზაქარიას ძის მოსულიშვილისას.

პანაშვიდები ყოველ დღე, სადამოს 5 საათზე, ქიზიყში, სოფელ ნუკრიანში, დასფლავების დღე შემდეგ იქნება გამოცხადებული. (2—469—2)

## ძმ. ნიკიტინებ..ს ცირკი.



5 დეკემბერს, 1907 წელს, გალა-სადამო, დიდი წარმოდგენა სამ განყოფილებად, მთელის დასის და პირველ ხარისხოვან არტისტების, ცხენოსნების, კლოუნების, აკრობატების მონაწილეობით. გამოსვლა ორიგინალურ კლოუნებისა და კომიკებისა თავიანთ გაწვრთნილ პირუტყვებით დებიუტი ესპანელ ლამაზ ქალის კარდინალისა. დასასრულ პანტომიმა ბალეტი „კ რ ა ვ ე ბ ი“. აღოსავლეთ ხალხებისა. დასაწყისი სადამოს $8^1/_2$ საათზე. დაწვრილებით პროგრამებში. (0—ხალ.—6)

ტფილისის სახაზინო თეატრი. ოპერის არტისტთა ამხანაგობა.

ოთხშაბათს, 5 დეკემბერს შესანიშნავ ტენ. კოპპოლას მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

„კ ა რ მ ე ნ“.

ოპერა 4 მოქმ., მუსიკა ბიზესი.

მონაწ. იღებენ: ქ-ნნი ვოდოპიანოვა, კორსაკოვა-ლიუბინსკაია, პობოჟიევისა, გორინა; ბ-ნნი აკიმოვი, გრინევი, კოპპოლა, დე-რობერტი, ლეონიდოვი, იუჩენკოვი და სხვ.

კაპელმეისტერი: ფალიაშვილი. დასაწყისი 8 საათზე.

ანონსი: 6 დეკემბერს, »ჟიზნ ზა ცარია« მოსწავლეთათვის ნამესტნიკისაგან. ბილ. არ გაიყიდება. სადამოთი ესევე ოპერა. 8 დეკემბერს სიბირიაკოვის ბენეფისი—„დემონი“. მზადდება დასადგმელად «ასე სთქვა მეფემ». (0—16)

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

## წლიური კრება

გადაიდვა 9 დეკემბრისთვის

განსახილველის საგნები: 1) განხილვა 1906 წ. ანგარიშისა. 2) მოხსენება სარევიზიო კომისიისა. 3) 1908 წ. ხარჯთაღრიცხვა. 4) ფილიალურ განყოფილებათა წესდება. 5) არჩევა ახალის წევრებისა. 6) არჩევნები გამგეობისა და სარევიზიო კომისიისა.

9 დეკემბერს კრება შესდგება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. კრება დანიშნულია ტფილ. სათ.-აზნ. ბანკში და დაიწყება დილი 11 საათზე. (3—1)

## „ტფილისის სობრანიე“

ხუთშაბათს, 6 დეკემბერს ბ-ნთ წევრებისა, კანდიდატების, მათ ოჯახებისა და სტუმრებისთვის რუს მალთროსთა დრამატიულ და საოპერეტტო არტისტების ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება

„შ ე ლ მ ე ნ კ ო დ ე ნ შ ჩ ი კ ი“

კომედია ფარსი 4 მოქმ. კვიტკა-ოსნოვიანენკოსი. (2—473—1)

## თამბაქოს ქარხანა

საქ. საზ. „მირისა“ ტფილისში.

ურჩევს მუშტარს ახლად გასასყიდად გამოშვებულ პაპიროსებს

## არომატ

საუკეთესო ხარისხის თამბაქოსას.

10 ცალი 5 კაპ. 25 ცალი 15 კაპ.

საქარხნო მაღაზია სასახლის ქუჩ. ტელ. № 349. (40—415—13)

## წრე „იკაროსი“.

ოთხშაბათს, 5 დეკემბერს, სადამოს $8^1/_2$-ზე, ტფილისის საკრებულოს დარბაზში

## გრიგოლ რობაქიძე

წაიკითხავს რუსულად წრის საჯარო კრებაზე ლექციას

„პლატონიდან ვლ. სოლოვიოვამდე“.

გარეშე პირებს შეუძლიანთ დაესწრონ: ბილეთები ღირს 20 კაპეიკიდან 1 მანეთამდე. ბილეთების და ლექციის პროგრამას შეძენა შეიძლება საკრებულოს მეკარესთან.

დასაწყისი სწორედ სადამოს $8^1/_2$ საათზე.

„იკაროსის“ წრის საბჭო სთხოვს საზოგადოებას ლექციის კითხვის დროს ნუ შემოვლენ და ნუ გავლენ. (2—6.—2)

ქ. ქუთაისში

ექიმი ჯაფარიძე

იღებს ყურით, ყელით, ცხვირით და შინაგანის სნეულებით ავადმყოფებს. ტფილისის ქუჩა, სახლი თ. ნიჟარაძისა. (50—6.—26

ექიმი

ი. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., სადამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.-უ—00)

ქუთაისში

კბილის ექიმი

ს. ი. კერესელიძე

გადავიდა გეგუთის ქუჩაზე პ. რუხაძის სახლში, (15—6—6)

მედიცინის დოქტორი

მ. ი. მურადოვი,

ყოფილი ორდინატორი მოსკოვის უნივერსიტეტის კლინიკისა, იღებს შარდით, ვენერიულ (სიფილ.) და კანის ავადმყოფებს დილით 9—11 ს. სადამოთი 5—7 საათზე. რტიშჩევის ქ. № 1, ცეცხლის მქრობელ რაზმის პირდაპირ. ტელეფონი № 711. (21—ხ.—15)

ექიმი

ი. ი. გოკიელი

სპეციალისტი: ვენერიული სიფილისის, კანის და ნერვების სისუსტის ავადმყოფობისა. მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—12 ს. და სადამოს $5^1/_2$—$7^1/_2$ ს. მიხაილოვის ქუჩა. № 113 ვეტცელის სასტუმროს გვერდით. (25—406—22)

კბილის ექიმი

ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. სადამოთი, —7 საათზე. ვერა ოლგას ქუჩა, № 25- (0—239)

ელექტრონის და რენტგენის სამკურნალო კაბინეთი

მიხეილ ვედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილის 12—1, სადამოს 6—7 საათ. ყორღანოვის ქ., ვერაზე; საკ. სახლი № 20 ტელ. 791. (0—6,—51)

ექიმი

ზ. ნ. მაგაკიანი

იღებს ავადმყოფებს შინაგან და ბავშვებისას. სპეციალური ექიმია ქუჩის და ნაწლევებისა. მიღება: დილით 12—1 ს., სადამოთი 5—7 ს. მიხეილის პროს. № 36, სახ. ჭავჭანიძისა(25—წლ.

თვალის ექიმი

ზ. მ. ცხვედაძე

დორპატის უნივერსიტეტის კლინიკაში ასისტენტად ნამყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—1 ს. და სადამოს 6—7 ს. ვერა ოლღას ქუჩა, № 31, სახლი სარაჯიშვილისა. (25—475—1)

ქ ო ბ ლ ე თ შ ი

ექიმი

ნ. გ. მრევლოვი,

მასწავლებლად ნამყოფი კიევის ქალაქის საზებიო სასწავლებელში და ინტერნად მშობიარეთა სახლში, მიიღებს ავადმყოფთ ყოველ დღე 9—12 საათამდის. ადრესი: ზ. მაჭავარიანის სახლი (ბატონის წყაროზე). (50—413—19)

ქ. ქუთაისში

ექიმი ბადრიძე

ყვავილის და სხვა გადამდებ სენის აცრა. ავადმყოფებს იღებს დილით 8—12 საათზე და სადამოთი 4—5-ზე. პოლიციის ქ. ციციაშვილის სახლი. (25—კვ.—24)

ექიმი

ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს

იღებს ყოველდღე შუადღის 12—1 საათამდე. სადამოთი 6—8 საათამდე. ხუთშაბათობით მხოლოთ დილით 8—9-დე. კვირაობით ავადმყოფებს არ მიიღებს. ყორღანოვის ქუჩა № 14.

ყურის, ცხვირის და ყელის ექიმი

ნ. ა. ატენიანცი

იღებს ყოველდღე ავადმყოფებს- შუადღის 12—2 ს.. სადამოთი 5—7 საათამდე, მიხაილოვის ქუჩა № 114 „ვეტცელის“ სასტუმროს პირდაპირ. (50—385—33)

კბილის ექიმი

ი. ზ. კანდელაკი

დაბრუნდა ტფილისში და განაახლა კბილით ავადმყოფებთა მიღება. სწამლობს კბილებს, აკეთებს პლომბებს და სხამს ახალ ხელოვნურ კბილებს. იღებს ახალ ბინაზე რაზიევკი ქუჩაზე, № 11, სახლი ბაბალოვისა, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 9—2 ს. და 4—7 ს. (25—407—22)

კბილის ექიმი

ბალარჯაშვილი-მათეშვილი

იღებს ავადმყოფებს დილის 9—3, სად. 5—7 ს. ადრესი: მიხეილის ქუჩა, № 37. (25—420—17)

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილის 9—$11^1/_2$. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

ქუთაისში

კბილის ექიმი ქალი

ე. დ. ნასარიძე

იღებს ავათმყოფებს ექიმ ნასარიძის ბინაზე. (346)

ქ. ქუთაისში

ექიმი ი. ი. ჩარექოვი

იღებს განსაკუთრებით ვენერიულ, სიფილისიან და კანით ავადმყოფებს. სწამლობს მუწუკებს, ძირმაგრებს, ბუბონებს და სხ. უაპერაციოდ პროფ. ზიერის მეტოდი. 12—2 საათამდის. გეგუთის ქუჩა, აბულაძის შესახვევი, იოსელიანის სახლში. (25—ღ.—27)

კბილის ექიმი

ალ. ხოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12. სახლი მდივნისა. (64)

## ქუთაისის ვაჟთა გიმნაზია

სთხოვს მოსწავლეთა მშობლებსა და მზრუნველებს, მობრძანდნენ კვირას, 9 დეკემბერს, დილის 12 საათზე გიმნაზიის შენობაში გიმნაზიასთან არსებულ მშობელთა წრის დელეგატების ასარჩევად. თუ კრებას დაესწრო ქუთაისში მცხოვრებ მშობლებისა და მზრუნველების ერთ მესამედზე ნაკლები, კრება გადაიდება 16 დეკემბრის, დილის 12 საათისთვის. თუ მეორე კრებასაც რომელიმე კლასისაგან $^1/_3$-ზე ნაკლები დაესწრო, ამ კლასიდან არჩევნები არ მოხდება. (3—6.—3)

სახალხო უნივერსიტეტი

ხუთშაბათს, 6 დეკემბერს, დილის 11 ს. ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში პეტრე სურგულაძე ქართულად წაიკითხავს ლექციას ამ სათაურით: „სახალხო განათლება სკოლის გარეშე“.

წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობა

აუწყებს ამით „საზოგადოების“ წევრებს, რომ წესდების მე-11 მუხლის ძალით, ვინც დეკემბრის დამლევამდის არ გადაიხდის

## საწევრო გადასახადს,

მომავალ წლიდან ჩამოერთმევა წევრობა.

გამოვიდა და ისყიდება

მაქსიმ პეტროსიანის

(ქართული თარგმანი)

## ლურჯი პერანგი და დარაჯი

ფასი 5 კაპ.

ისყიდება «ზაქარია გრიქუროვის“, „წერა-კითხვის საზოგადოების“ და „ცოდნა»-ს მაღაზიებში. (3—2)

## ი ყ ი დ ე ბ ა

ს. საგურამოს ახლო (დუშეთის მაზრა), მცხეთის პირდაპირ, არაგვის მარცხენა ნაპირზე

## სახნავი მიწები

და ტყე

ზომით 544 დესეტინა. მამულში მოთავსებულია ევროპიულად მოწყობილი ორსართულიანი წისქვილი.

მამული დაგირავებულია ტფილისის სათ.-აზნ. ბანკში და მყიდველს შეუძლიან ბანკის ვალი თავის სახელზე გადაიტანოს.

პირობები შეღავათიანია

დაწვრილებით ცნობების გაგება და საბუთების ნახვა შეიძლება ალექსანდრე ყიფშიძესთან, ტფილისში, თ.-აზნაურთა დეპუტატთა საკრებულოში (ბელინსკის ქუჩა). ფოსტის ადრესი: Тифлисъ. улица Бѣлинскаго Дворянское Депутатское Собраніе. г-ну А. Кипшидзе. (5—6.—4)

გამოვიდა და იყიდება

„წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებაში“

ლ. ანდრეევის დრამა

## „ცხოვრება ადამიანისა“

თარგმანი ივ. ზურაბიშვილისა. (10—5)

ქუთაისის რეალურ სასწავლებლის

## მთავრობა

სთხოვს ამა სასწავლებლის მოწაფეთა მშობლებსა და მზრუნველთ, რომელნიც ქ. ქუთაისში სცხოვრებენ, მობრძანდნენ კრებაზედ ამა 1907 წლის 9 დეკემბერს, დღის 12 საათზე დელეგატების ასარჩევად „მშობელთა წრისათვის“.

კრება მოხდება ყოველ კლასში ცალკე; უკეთუ რომელიმე კლასის მოწაფეთა მშობლებისა და მზრუნველების რიცხვი ერთს მესამედზე ნაკლები გამოცხადდა, კრება გადაიდება 16 დეკემბრისთვის; უკეთუ რომელსამე კლასში არც მაშინ გამოცხადდა ერთი მესამედი მაინც, მაშინ იმ კლასში არჩევანი აღარ მოხდება. (3—6.—3)

## ვკისრულობ

ხელნაწერების შესწორებასა და თარგმნას: რუსულიდან ქართულად და ქართულიდან რუსულად. იკითხეთ „ისრის“ რედაქციაში.

## ტფილისი, 5 დეკემბერი.

დასრულდა პროცესსი მეორე სახ. სათათბიროს ს.-დ. ფრაქციისა და იწყება პირველ სათათბიროს მრავალ წევრთა საქმე. ეს ორი დიდი პოლიტიკური პროცესსი ღირსეულად აგვირგვინებენ თვითმპყრობელ ბიუროკრატიის მოღვაწეობას განვლილ რევოლიუციის „ლიკვიდაციის“ საქმეში.

მეორე წელიწადია აგერ ადმინისტრაცია და სასამართლო ხელიხელ ჩაკიდებულნი გაშმაგებით ებრძვიან განმათავისუფლებელ მოძრაობას. ადმინისტრაცია, შეიარაღებული განუსაზღვრელის უფლებით, და სასამართლო, შეიარაღებული განუსაზღვრელის მორჩილებით, ძკურად იღწვიან „კრამოლის“ აღმოსაფხვრელად. იქ, სადაც ადმინისტრაციის თვითნებობა ვერ სწვდება, სასამართლო მხადაა ზური იძიოს და, vice verso: სადაც სასამართლო ვერას გაიწყობს, ადმინისტრაცია ასრულებს მართლმსაჯულებას. აუარებელი მსხვერპლი ამ მოღვაწეობისა რიგ-რიგად მისდევენ ერთმანეთს: ათასობით გადასახლებულნი, ათასობით დამწყვდეულნი, ათასობით ჩამოხრჩობილნი. აღარ აქვს დასასრული ამ საშინლებას.

ჩვენი დროის მომავალი ისტორიკოსი განცვიფრებით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ მთავრობა კიდევ არ იყო კმაყოფილი სასამართლოთი და პარლამენტის ტრიბუნიდან მუქარას უგზავნიდა მის წევრებს. რაღა უნდა მეტი? აუარებელი პოლიტიკური პროცესსები, ამ ორის წლის განმავლობაში გამართული, ნუ-თუ ცხერმეტყველურად არ მოწმობენ, რომ რუსეთის მაგისტრატურამ უღალატა მართლსაჯულების ელემენტალურ მოთხოვნათ, რომ მან დაჰკარგა დამოუკიდებლობის ნასახი და ბრმად ასრულებს ყველაფერს, რასაც „აღმასრულებელი მმართველობა“ უბრძანებს?! თუნდ ეს ორი პროცესსი. რას მოწმობენ ისინი თუ არ მართლმსაჯულების ყველა პრინციპთა ფეხით გათელვას? სახელმწიფოს უმაღლესი სასამართლო ჩაკეტილ კარებში ასამართლებს ხალხის წარმომადგენლებს; არ ესწრება საზოგადოება, არ ესწრებიან თვით ბრალდებულნიც, არ ესწრებიან მათი დამცველნი; მთელი ბრალდება აგებულია „ოხრანნი ოტდელენი“—ის ცნობებზე და ბოლოს-ბოლოს ერთადერთი დაურღვეველი ბრალდება ის გამოდის, რომ ბრალდებულნი ს.-დ. ფრაქციას ეკუთვნიან. და ამისთვის მეოცე საუკუნეში, „საკონსტიტუციო“ სახელმწიფოში კატორგით სჯიან ხალხის მიერ არჩეულ დეპუტატებს. მეორეს მხრით, ასზედ მეტ დეპუტატს ბრალდებულთა სკამზე სვამენ მხოლოდ იმიტომ, რომ მათ, ავტონომიურს ქვეყანაში, შეადგინეს მოწოდება, რომელსაც არავითარი პრაქტიკული შედეგი არ მოჰყოლია... ეს მართლმსაჯულება-კი აღარ არის, შურისძიებაა, რომელიც მთავრობას ასულდგმულებს თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა მიმართ. ხალხი, ქვეყანა ნათლად ხედავენ, რომ გასამართლებულთ დანაშაულობა სახელმწიფოს წინაშე-კი არ ჩაუდენიათ, არამედ მთავრობის წინაშე, რომელიც პარტიად გადაქცეულა და, როგორც გამარჯვებული პარტია, ჯავრს იყრის თავის მოწინააღმდეგეებზე...

რასაკვირველია, ასეთ მთავრობას არ შეუძლია ქვეყნის დამშვიდება და კრიზისიდან მისი გამოყვანა. მთავრობას, რომელსაც თავისი თავი და სახელმწიფო ერთმანეთისგან ვერ გაურჩევია და რომელიც ყველას, ვინც მისებურად არ სჯის, სახელმწიფო დამნაშავეებათ სთვლის,—ასეთს მთავრობას სრულებით დაკარგული აქვს სახელმწიფური გამჭრიახობაც, ისტორიული პერსპექტივაც. მისი ყოველი ფეხის გადადგმა მხოლოდ გაღვივებაა იმ ცეცხლისა, რომელიც მრავალტანჯულ ქვეყნის გულში ღვივის.

## პოლემიკის დასკვნა

(დასასრული *)

ამ რიგად, ჩვენი პოლემიკა იმითი დასრულდა, რომ სოციალ-დემოკრატებმა საზოგადოთაც და ჩვენი ხალხისთვისაც ავტონომიის საჭიროება აღიარეს. მათის განმარტებით, ისეთი საოლქო თვით-მართველობა მიაჩნიათ საჭიროდ, რომელიც საკანონმდებლო უფლებებით იქნება აღჭურვილი. საკანონმდებლო უფლებებით აღჭურვილ ადგილობრივ თვით-მართველობა კი, როგორც თვით „წყარო“-ც სამართლიანად შენიშნავს, ავტონომია ყოფილა.

ეს ცხადია, მაგრამ იბადება მეორე საკითხი: რათა ჰკიცხავდით იმ პირებს, რომელნიც ხალხს ავტონომიის საჭიროებაზე ელაპარაკებოდნენ, რად შეურაცყოფთ იმ გრძნობებს, რომლებიც თქვენც „უუწმინდეს“ და უფაქიზეს გრძნობებად მიგაჩნიათ? რად უწყობდით ხელს იმ გარემოებას, რომ თქვენი უვიცი ადეპტები ჯაშუშებად, პოლიციელებად, მთავრობის მიერ მოსყიდულ პირებად ნათლავდნენ იმათ, ვინც გულში არ იკლავდა წლობით დაგუბებულ გრძნობას, მიდიოდა ხალხში იმიტომ, რომ ბრწყინვალე მომავლის იმედებით აეფრთოვანებინა მისი გული და თვალწინ ახალი ჰორიზონტები გადაეშალა. გულწრფელ, უანგარო მისწრაფებას ისეთს წეს-წყობილებისაკენ, რომელიც თქვენ სასარგებლოდ მიგაჩნიათ ხალხისთვის, თქვენ რეაქციონურ საქმედ სახავდით. პატიულ ცხოვრების პრაქტიკულმა მოღვაწემ ძალიან კარგად იცის, რაოდენი შეურაცყოფა, დამცირება მიუყენებიათ ავტონომიის იდეის დამცველისათვის მარტო იმიტომ, რომ იგი ამ იდეის დამცველად გამოდიოდა. რათა შვრებოდით ამას? რად იყავით გაჩუმებულები, თუ თქვენც საჭიროდ ჰხედავთ ქართველ ხალხისთვის ავტონომიას? რითი უნდა აიხსნას თქვენი ასეთი დუმილი? „წყარო“ ამაზედაც პასუხს იძლევა:

„არის ისეთი პოლიტიკური მდგომარეობა,—ამბობს იგი, —როდესაც „თუ სიტყვა ვერცხლია, გაჩუმება კიდევ ოქროა“. არის ისეთი გარემოება, როდესაც დუმილი შედარებით უფრო მეტი გმირობა არის, ვიდრე მოედანზე, საჯაროთ შესრულებული რაიმე გმირული აქტი. დიახ, არის გარემოება, როდესაც სათუთო და უნაზესი გრძნობები უნდა უხმოდ, უსიტყვოდ გულში ჩაიკლა და უანგარო, უმაღლესი მისწრაფებანი, რასაც შეუბოჭავს შენი არსება და ძალუმად გიწევს შესაფერ მოქმედებისთვის, უნდა შენი ხელითვე შებორკო, დაიმონავო. მით ჩაიყურო მწვავე ტკივილები. შეიძლება ამან არსებობა გაგინახევროს, მაგრამ მაინც ეს არ გაშინებს და ყველაფერი, რაც კი შენს პირადობას გააჩნია უწმინდესი და უძვირფასესი, ყველაფერი სამსხვერპლოთ მიგაქვთ იმ დიდებულ საკურთხეველზე, რასაც ეწოდება **პარტიული საქმე** (კურსივი ავტორისაა). აღარ გაფიქრებს და არც გაშინებს არაფერი, თუ კი ამ საქმის ყოვლად შემძლები სიყვარული უკვე გადაქცეულია შენს საკუთარ სიცოცხლეთ“.

ჩანს, პარტიული საქმე მოითხოვდა ასეთს ინკვიზიტურ თვით-წამებას. მაგრამ რა პარტიული საქმეა ის საქმე, რომელიც „ადამიანს გაანახევრებს“, გულში ჩაუკლავს საუკეთესო გრძნობებს და დაავიწყებინებს ხალხის საჭიროებებს? პარტიული საქმე ყოველთვის ხალხის საჭიროების გამომხატველი უნდა იყოს. თუ თქვენ ქართველ ხალხისთვის პოლიტიკურ გარანტიების მოპოვება საჭიროდ მიგაჩნიათ, იგი აუცილებლად თქვენს პარტიულ საქმედ უნდა გაიხადოთ. ისეთი პარტიული საქმე კი, რომელიც ხალხის რეალურ საჭიროებათა გარეშე სდგას, საქმე კი არა, საშინელი ბოროტებაა. სწორედ ამაში მდგომარეობს თქვენი უმთავრესი ნაკლი, რომელიც ცხრა მთას იქით გადააგდებს ყველას, ვინც ხალხის რეალურ ინტერესებს პარტიულ ინტერესებზე მაღლა აყენებს. თქვენ პარტიულ სიძლიერეზე უფრო ფიქრობდით, ვიდრე ხალხის რეალურ ინტერესებზე, თქვენ პარტიულ ინტერესებს ზვარაკად შესწირეთ ქართველი ხალხის აწმყო და მომავალი. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, მაშინ ავტონომიის იდეის მქადაგებლებად თქვენც გამოხვიდოდით, რადგან საჭიროდ მიგაჩნიათ იგი; მაშინ ხალხში აღარ გავრცელდებოდა ათასნაირი უმსგავსო აზრი ცენტრალიზმის აუცილებელ საჭიროების შესახებ, მაშინ კ. ჩხეიძე პოლონელებს იმას ვერ ეტყოდა, ავტონომია პოლონეთისა—ოცნებააო, მაშინ—იარსებებდა რუსეთის ხალხისათვის საქართველოს ავტონომიის საკითხი ისევე, როგორც არსებობს პოლონეთის, მალოროსიისა და სხვათა ავტონომიის საკითხი. მაგრამ თქვენ პარტიული ინტერესები ქართველ რეალურ ინტერესებზე მაღლა დააყენეთ და ამით პოლიტიკურ თვით-მკვლელობის გზას დაადექით. ეხლაც იმას იმეორებთ, რასაც წინათ საქმით სჩადიოდით: თუმცა ავტონომია ჩვენი ხალხისათვის საჭიროდ მიგვაჩნია, მაგრამ უფრო ძალიან კი პარტიულ საქმის გაძლიერება გვინდაო. გამოდის, თითქოს ხალხის საჭიროება სხვაა და პარტიული საქმე კიდევ სხვა, თითქოს პარტია რაღაც არა ამ ქვეყნიურ მიზნების განსახორციელებლად არსებობდეს, და არა იმავე ხალხის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

ჩვენის აზრით კი პარტია ხალხისთვის უნდა არსებობდეს და არა ხალხი პარტიისათვის. სოც.-ფედერალისტებს ავტონომიის მოპოვება ხალხისთვის საჭიროდ მიაჩნიათ და ამიტომ იმათი მოქმედება იქითკენ იქნება მიმართული, რომ ეს საჭიროებაც დააკმაყოფილოს.

თავის სიჩუმის მეორე მიზეზად „წყარო“ „პოლიტიკურ მდგომარეობას“ ასახელებს. ასეთს პირობებში,—სწერს „წყარო“ მოწინავე წერილში,—როცა მორიგ საკითხს შეადგენს მებრძოლ საზოგადოებრივ ძალების, რაც შეიძლება, მეტი შემოკრება და მჭიდროთ დარაზმვა, დღეს, როცა შავ-ბნელ რეაქციას თავი ასე გაბედულათ წამოუწევია და თვით სტოლიპინის მთავრობა „შუშების ჩამტვრევას“ იმუქრება, ასეთ გარემოებაში ეროვნულ საკითხის პირველ ადგილზე დაყენება და ამის შესაფერ კამპანიის ატეხა, ცხადია მომაკვდინებელი შეცდომა იქნებოდა.“ ეს საბუთი უფრო საფუძვლიანია, მაგრამ არც ისეთი, რომ მხედველობაში მისაღები იყოს. თუ თქვენ ეროვნულ საკითხის გადაწყვეტა მართლა გინდათ, თუ სახელმწიფოს პოლიტიკური დეცენტრალიზაცია მართლა საჭიროდ მიგაჩნიათ, ეროვნული საკითხიც აუცილებლად ეხლა უნდა წამოაყენოთ და ამისი შესაფერი კამპანიაც ეხლა უნდა გამართოთ. და ეს იმიტომ, რომ ცვლილება რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში სწორედ ეხლა ხდება. ძველი ინგრევა; ამიტომ უნდა ვიცოდეთ, მის ნანგრევებზე რანაირ ახალ შენობის აგებას ვაპირობთ. ამიტომ სრულიად უსაფუძვლოა პოლიტიკურ მომენტის მომიზეზება. პირიქით, სწორედ პოლიტიკური მომენტი გვავალებს წარსულ დროთა შეცდომების გასწორებას, ავტონომიის იდეის პროპაგანდას ხალხში და მზადებას იმ კატასტროფისათვის, რომელიც ჯერ კიდევ მოსალოდნელია...

**არ. ჯ—შვილი.**

## ახალი ამბავი

—:—

✦ **ილია ჭავჭავაძის ფონდი.** წ. კ. საზოგ. გამგეობამ მიიღო ილიას ფონდისთვის ქალთა წრის მიერ შეგროვილი 294 მ. 40 კ. წ.-კ. საზ. გამგეობა აცხადებს, რომ ი. ჭავჭავაძის ფონდის ფული მას შემოსვლის კვალობაზე შეაქვს ბანკში წლის ვადით, სადაც ინახება ხელუხლებლად და ეს ფული არ მოხმარდება „საზოგადოების“ საჭიროებას.

✦ **მთავრობის მამასახლისები.** გარდა თელავის მაზრისა, ტფილისის გუბერნიის სხვა მაზრებშიაც, როგორც გავიგეთ, მთავრობას გადაუყენებია არჩეული მამასახლისები და თვითონ დაუნიშნავს ახლები. აღნიშნულ მამასახლისებს ჯამაგირი სოფელმა უნდა აძლიოს.

✦ **ჩხრეკა.** ტფილისში კერძო ბინებისა და გამვლელ-გამომვლელთა ჩხრეკა ხანგამოშვებით ხდება. ქუჩებში ხან გაძლიერებული პატრულები დადიან, ხან კი ერთს ჯარის კაცსაც ვერ ნახავს კაცი. უკანასკნელ სამი დღის განმავლობაში გაძლიერებული პატრულები დადიოდნენ ქუჩებში და ხალხს სჩხრეკავდნენ. ღამე, 3—4 დეკემბერს ქალაქის სხვა და სხვა უბანში ძალიან ბევრი გაჩხრიკეს. 3 დეკემბერს საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ ხმოსნებს ნიკოლოოზ ზ. ელიავას და კ. ი. ჯაფარიძის ბინებზე პოლიციელები გაჩნდნენ და გაჩხრიკეს. ხმ. ელიავას სახლიდან მრავლად წაიღეს წიგნები და თვითონაც დააპატიმრეს. ჯაფარიძე არ დაუპატიმრებიათ. გაჩხრიკეს აგრეთვე ექიმი ჰ. ქეჩიაძე და ქალაქის თვითმართველობის მოხელენი და მსახურნი: ი. ბესელიძე, ლ. მამულაშვილი, განკევიჩი, ილ. კანდელაკი, როხლინი და სხვ. ზოგი მათგანი დააპატიმრეს, მაგრამ შემდეგ ისევ გაანთავისუფლეს. მათ გარდა გაჩხრიკეს ანდრეევის ქუჩაზე ხანდამაშვილი და სხვანი მრავალნი.

✦ **პედაგოგთა კრება.** კავკაიის სასწავლო ოლქის მზრუნველის ბ-ნ რუდოლფის თანადასწრებით და ტფილისის ვაჟთა პირველ გიმნაზიის დირექტორის ბ-ნ გამყრელიძის ინიციატორობით შაბათს, 1 დეკემბერს გიმნაზიის დარბაზში შესდგა სხდომა მშობელთა წრისა და გიმნაზიის საპედაგოგიო საბჭოს წევრებისა, რომელნიც უნდა გასცნობოდნენ მოქმედებას მშობელთა წრისას. სხდომაზე მოწვეულნი იყვნენ აგრეთვე ტფილისის სხვა გიმნაზიებისა და საშუალო სასწავლებლების გამგე-დირექტორები. სხვათა შორის, ამ სხდომაზე გიმნაზიის მასწავლებელმა ბ-ნმა ზაჩინიაევმა წაიკითხა საყურადღებო მოხსენება მოსწავლეთა ესტეტიურ აღზრდის უპირატესობის შესახებ. მომხსენებელმა დაიმოწმა ევროპის განათლებულ სახელმწიფოების საუკეთესო პედაგოგები და ის აზრი გამოსთქვა, რომ დიდად მავნებლად მოქმედობს მოზარდ თაობაზე მორჩილებითი სისტემა აღზრდა სწავლისა, რაც ნათლად გამოირკვა რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობის დროს. მოხსენება დიდის ყურადღებით იქნა მოსმენილი. დასასრულ სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა წინადადება მისცა კრებას, არსებით ად განიხილონ შემდეგ მოხსენება ბ-ნ ზაჩინიაევისა მოსწავლეთა ესტეტიურ აღზრდის შესახებ და გამოიკვლიონ, როგორ შეიძლება პრაქტიკულად გატარებულ იქმნეს სკოლის ცხოვრებაში ის ღონისძიებანი, რომელთაც მომხსენებელი ასახელებსო.

✦ **სატუსაღოს ზედამხედველის მოკვლა.** 3 დეკემბერს, დილის 11 საათზე, ქუთაისში გიმნაზიის ქუჩაზე ვიღაცეები დასცემიან ადგილობრივ სატუსაღოს ზედამხედველს [illegible], რომელსაც თან სტრაჟნიკი ახლდა. ორივე მოუკლავთ. დაჭრილა ქუჩაში მიმავალი ბავშვი. არემარეს ალყა შემოარტყეს და გაჩხრიკეს.

✦ **დუშეთის მაზრის უფროსი.** დუშეთის მაზრის უფროსად დაინიშნა პოდპოლკოვნიკი სტრიჟევი.

✦ **უმაღლეს კურსებზე.** დღეს, საღამოს 6 საათზე, პუშკინის ბიბლიოთეკის შენობაში (ალექსანდრეს ბაღი) ი. აბულაძე წაიკითხავს მორიგ ლექციას შემდეგ თემებზე: ზმნათა ურთიერთობის ფორმები. მიმართულების მაჩვენებელთა თავდაპირველი მნიშვნელობა: მიმართულების მაჩვენებელნი წარმოადგენენ არსის ნაცვალთა (ნაცვალ სახელთა) ხმოვანსა და თანხმოვან ელემენტებს. სუფიქსები ალ, არ, ელ, ერ, ილ, ირ, ულ, ურ, როგორც არსებობის აღმნიშვნელი ზმნის ნაშთნი და მათი მნიშვნელობა ქართულ სიტყვების წარმოებისათვის.

✦ **სახალხო უნივერსიტეტი.** ხვალ, ექვს დეკემბერს, ზუბალაშვილის სახელობის სახლში პეტრე სურგულაძე წაიკითხავს ლექციას: „სახალხო განათლება სკოლის გარეშე“. ლექცია დაიწყება დილის 11 საათზე.

✦ **მკვლელობა ქიზიყში.** 1 დეკემბერს ღამე თავის საკუთარს ბინაზე ნუკრიანში ვიღაცებმა მოჰკლეს რევოლვერით სიღნაღის აფთიაქის პატრონი ლუკა მოსულიშვილი. მოსულიშვილი დიდი შეძლების პატრონად ითვლებოდა მთელს სიღნაღის მაზრაში.

✦ **საზოგადო განათლების კურსებზე** დღეს საზოგადო განათლების კურსებზე ვაჟთა მეორე გიმნაზიასთან ლექციებს წაიკითხავენ: ბ-ნი ხარაზიანი —მაშინათა თეორია; ბ-ნი გეხტმანი—აღორძინების ხანა და ბ-ნი ბუკშტეინი—პოლიტიკური ეკონომია.

✦ **გაფიცვა.** „კახეთის“ საზოგადოების სარდაფის მუშები $1^1/_2$ საათით გაიფიცნენ 4 დეკემბერს მეღვინის დათხოვნისა გამო. შემდეგ მუშებმა განაახლეს მუშაობა.

✦ **გვთხოვენ დავბეჭდოთ:** „13 ნოემბერს თელავის ქუჩიდან თავის ბინიდან გავიდა თორმეტი წლის ყმაწვილი გრიშა აფხაზოვი და მას შემდეგ აღარ დაბრუნებულა. ტანზე ყმაწვილს ეცვა დურჯი ხალათი და მოკლე ჩუსტები. მნახველთ სთხოვენ, აცნობონ ამ ადრესით: ავლაბარი, თელავის ქუჩა, № 8, სანდრო აფხაზოვი.“

✦ ახალციხის მაზრას აბასთუმნის ნაწილის ბოქაული თავ. მაყაშვილი გადაუყვანიათ

*) იხ, „ისარი“ № 267.

## ფელეტონი

### საწყალი ლევანა

(სულით ავადმყოფთა თავშესაფარის ზედამხედველის დღიურიდან)

(შემდეგი *)

ღამეა. ყველას სძინავს თავშესაფარის ჩამწკრივებულ ლოგინებზე. სიჩუმეა. მხოლოდ მიხას არ სძინავს და, როგორც ყოველთვის, ახლაც რაღაცას ბუტბუტებს. შავი თვალები უელავს. საშინელის ტანჯვით და სასოწარკვეთილებით მისჩერებია ერთ წერტილს და გულმოდგინედ, ბეჯითად ითვლის რაღაცას თითებზე:

— ასი თუმანი... ათასი... სასამართლო... მოიგო?... ბიტი, ბიტი, ბიტი...

—ბუტბუტებს ის უთავბოლოდ და ისევ ისევ ითვლის, მაგრამ ბუტბუტებს ნელა, ძილს არავის უფრთხობს, მე ჩვეულებრივად ვზივარ მორიგთა ოთახში კარებთან და ვსწერ, თანაც ყური პალატებისაკენ მაქვს მიპყრობილი. ეი, ვიღაცამ შეჰყვირა. გავიქეცი. ეს ლევანაა. ბაწრით ამოხლართულ ლოგინში წევს და კრთის. ვუყურებ იმის საცოდავ სახეს, პაწია მოკრუნჩხულ სხეულს.

— ხომ არა მცემენ, დედილავ?..—მესმის იმის დანჯღრეული, ნელი ხმა,—და გული სიბრალულით მეწურება, თვალები ცრემლებით მევსება. მაგონდება ვასილ არტემიჩის სიტყვები: დედ-მამა არ გყოლიაო...

განა მართლა არა ჰყოლია დედ-მამა საწყალ ლევანას?... მაგრამ, თუ გნებავთ, მე გიამბობთ ლევანას თავგადასავალს.

მას შემდეგ, რაც ეს ამბავი მოხდა, დიდმა დრომ განვლო, მაგრამ, თითქოს სურათი ახლაც ცხადად მიდგას თვალ წინ.

ეს იყო ერთ საღამოს. ახალგაზრდა თვალ ცრემლიანმა ქალმა ფრთხილად შეახვია პაწაწა ბავშვი საგებებში, დაჯდა, დაიწვინა მუხლებზე და ჩაუდვა ძუძუ პირში. პაწიამ სწრაფად მოსჭიდა თავის ფუნჩულა ბაგეები და მადიანად დაუწყო წოვა. ბავშვი რამდენიმე დღის იყო, ჯერ ცქერაც არ იცოდა ხეირიანად და ამიტომ ალმაცერად, უაზროდ უყურებდა დედას და სრულიადაც ვერ გრძნობდა, რომ დედის ტკბილ ძუძუს უკანასკნელად სწოვდა, სამაგიეროდ დედა კი ნელა ტიროდა და აშორებდა თვალს პაწიას ფუნჩულა სახეს. ბავშმა გაათავა ჭამა, დედა გაფაციცებით დასცქეროდა კიდევ რამდენიმე წუთს, შემდეგ ასწია, მიიკრა გულზე, ჰკოცნა, ჰკოცნა უანგარიშოთ და დასვა ლოგინზე.

— შენი ჭირიმე. რას გიპირებ მე უბედური,—ჩურჩულებდა ის უიმედოდ.

გამძღარ ბავშვს კი ეძინა და მშვიდად სუნთქავდა,

ქალმა აიღო ყავის ფერი, ძველი შალი, წამოიხურა თავზე და მიიხედ-მოიხედა; ის იდგა პაწაწკინა კედლებ ჩამოშავებულ, ფარღალალა, ოთახში კი არა, რაღაც სოროს მაგვარ ქოხში; სიჩუმე იყო და გაფითრებული ქალი ისევ დაიხარა ბავშვის ასაყვანად, მაგრამ უცებ შესდგა.

— არ შემიძლია, არა!..—შეჰკივლა მან, იტაცა თავში ორივე ხელები და დავარდა ძირს გულსაკლავის ქვითინით.

კარგა ხანს ეგდო პირქვე მტირალი საბრალო, რომ ოთახში მოხუცებული დედაკაცი ახალგაზრდა ქალის მეგობარი შემოვიდა. აანთო სანთელი, გაიხედა ლოგინისაკენ და დაუწყო ტუქსვა:

— მე მოსულიც მეგონე და შენ ჯერ არც კი წაგიყვანია... ეს რას ჰგავს... ხვალ ადგილს დამპირდნენ შენთვის.

ქალი წამოჯდა.

— არ შემიძლია, ელისაბედ,—უთხრა მან მუდარით,—რა ვქნა, არ მემეტება...

— არ გემეტება... ნეტავი ვიცოდე, რით უნდა იცხოვროთ? იცი თუ არა, რომ ეს ოთახი გაქირავებულია და მეტს შიგ აღარ შემოგიშვებენ...

— იქნება ის რაღაც ადგილია, რომ დაუჩოქო, შევეხვეწო...

— ვუი, დამიდგა თვალები! რას ამბობ, ქალო? ბალღიანს ვინ მიგიღებს მოსამსახურედ? მდიდრები არიან და მოსამსახურე თავისთვის უნდათ... არამც და არამც არ წამოგცდეს, რომ ბავშვიანი ხარ...

— ჩემი ხელით ვკლავ მგონია ჩემ ბავშვს, ელისაბედ...—სთქვა ტირილით ქალმა და კანკალით ადგა.

მოხუცი დედაკაცი ერთ წუთს ჩუმად იყო, ერთ წუთს რხევა დაეტყო სახეზე, მაგრამ დასძლია გრძნობას და იმედიანად უთხრა:

— აბა გულის რაზე იხეთქავ, შვილო? კლავ კი არა, იქ შენს უკეთესად მოუვლიან, ძიძას დაუქირავებენ... ძაფი შევაბათ ხელზე და, თუ შესაძლებელი იქნება, გამოიყვან.

— ძაფიც შევაბი და სახელიც დავაწერე,—სთქვა ქალმა ნაღვლიანად და დაჩუმდა—აბა, აბა, ჩქარა, თორემ დაგვიანდება, მერმე ხალხი იმდენი აღარ იქნება და ქუჩაში შეგვამჩნევენ.

ქალმა აიყვანა ბავშვი, გაისწორა შალს ქვეშ და გასწია კარებისაკენ.

— იქიდგან ჩემთან მოდი, დილით ადგილზე წაგიყვან,—უთხრა მოხუცმა. ქალი კი ცოტა ხანს შესდგა კარებთან, მაგრამ უცებ გადაწყვეტით გააქნია თავი და საჩქაროდ გავიდა გარედ ეზოში და იქიდან ვიწრო ქუჩაში.

უკვე დაბინდებულიყო. ქუჩაში თუმცა აქა-იქ ფარნები ბჟუტავდა, მაგრამ ბნელოდა. ქალი თავის პაწია ტვირთით ჩქარი ნაბიჯით მიეშურებოდა და შემკრთალი იყურებოდა თითო ოროლა გამვლელებისაკენ, ნაცნობია ვინმე თუ არაო. თავი თითქოს დაცარიელებული ჰქონდა. გული ძალზე უძგეროდა. გამძღარი, ბედნიერი ბავშვი კი მოსვენებით სუნთქავდა დედის მკერდში ჩაკრული. დედა გრძნობდა ბავშვის სითბოს, პაწია გულის ცემას, ხშირად იკრავდა მას გულში და ცახცახებდა, ფეხები ეშლებოდა მაგრამ მაინც მიდიოდა.

— აჰ, არ შემიძლია... დავბრუნდები... ოთახი გააქირავა, მაშ ბინა აღარ მაქვს?.. ძაფი შევაბი... სარჩო... ჩემო ლევანა... ჩემო შვილო... აჰ, არ შემიძლია... დავბრუნდები, ნუ თუ არავინ შემიბრალებს...—ამბობდა გულში ის ნაწყვეტ-ნაწყვეტად და ცრემლები ყელში ებჯინებოდა. ფიქრებში გართულმა ვერც კი შეამჩნია, თუ როგორ გავიდა დიდ, ფართო ელექტრონით განათებულ და მოსეირნე ხალხით სავსე ქუჩაზე, მაგრამ ის თითქოს აქაც ვერავის ამჩნევდა. მიდიოდა და მიდიოდა სულ ერთის და იმავე ფიქრით დავბრუნდე თუ არაო, რომ ამ დროს, თითქოს ნაცნობი ხმა და სიცილი შემოესმა. ქალმა აიხედა და ერთ წუთს გაფითრებული იდგა, მაგრამ უცებ რაღაც იმედმა გაურბინა სახეზე, განათლდა და ნელის აკანკალებულის ხმით შესძახა:

— ვანო!

ახალგაზრდა, კოხტად მორთული, შავწვერა კაცი, რომელიც ამ დროს რაღაცას სიცილით ელაპარაკებოდა გვერდით მომავალ ამხანაგს, ხმის გაგონებაზე შეკრთა, მოიხედა და დაბნეულად დაუწყო ქალს ცქერა.

— ვანო, რამდენი გეძებე, სად იყავი?.. შენ ხომ არ გინახავს ჩვენი ბავშვი... აი აქ მყავს... რა მშვენიერია... იცი, უნდა... უნდა გადმეგ..—ქალს ხმა შეუბორძიკდა, ტუჩები აუთრთოლდა და ცრემლებით აევსო თვალები.

— რა ბავშვი, რომელი ბავშვის. მიუგო მკვახედ ვაჟმა და დააპირა წასვლა.

— მოიცა, მოიცა, ვანო, ნუ წახვალ, ერთი დახედე... შეგიყვარდება... ისეთი პაწაწკინაა... ნუ თუ არ გებრალებით... წავიდეთ, შენი ჭირიმე... ჩვენი შვილია..—ქალმა გასწია ხელი, რომ ვაჟის ხელზე მოეკიდა, მაგრამ ახალგაზდა კაცმა საჩქაროდ უკან დაიხია და შეუტია:

ქალი დარჩა; ის გაქვავებულივით იდგა ერთ ადგილას და უაზროდ მისჩერებოდა მიმავალს. ხალხი ისევ ისე მიდიოდ-მოდიოდა წინ და უკან. ლაპარაკი და მხიარული სიცილი ისმოდა ყოველის მხრიდან. გაჩერებულ ქალს არავინ ყურადღებას არ აქცევდა.

— აჰ, რახან ასეა...—წაიბუტბუტა ქალმა და სახეზე შეურაცხყოფა და სულიერი ტკივილი გამოეხატა, მოტრიალდა და ჩქარის ნაბიჯით წავიდა. მხოლოდ

*) იხ. „ისარი“ № 266.

გორის მაზრაში ამავე თანამდებობაზე.

◆ ბორჩალოს მაზრის სოფლებ ბეშტაშენის, შინიზის, იმერის და საფარ-ხარაბას გლეხებს შუამდგომლობა აღუძრავთ, რომ საზოგადო საიმპერიო თანხიდან სესხი მიეცეთ გამოსაკვებ პურის სასყიდლად.

◆ ტფ. მაზრის სოფელ ზემო ავჭალის გლეხებს შუამდგომლობა აღუძრავთ მთავრობის წინაშე, რომ სასოფლო სამეურნეო თანხიდან სესხად მიეცეთ 1000 მანეთი პურის სასყიდლად.

◆ ტფილისის საბჭომ 3 დეკემბრის სხდომაზედ ამოირჩია სხვა და სხვა კომისიის წევრები. მიწათ მფლობელობის კომისიის წევრებად ხმის უმეტესობით ამორჩეულ იქმნენ ქ. ა. გერმიშევი, ს. ზ. მირზოევი, ა. მ. ახნაზაროვი, ა. ი. კაზაკოვი, კ ა. კურჩენბახი, ა. ე. თაიროვი და ა. ს. ბალდასაროვი; სასწავლებელთა კომისიაში არჩეულ იქმნენ: გ. ა. დემიდოვი, ა. მ. არგუთინსკი, ა. ი. გართანოვი, რ. ა. იოანესიანი, გ. ს. მიქელაძე, ნ. ზ. ელიავა; გ ზ. ქანანოვი, ი. ა. ბეგლიაროვი, ი. თ. სემენოვი, ნ. გ. ქართველიშვილი, ნ. გ. აბრამიანცი, ა. ს. ბაბოვი, არ. ე. თაიროვი, ე. თ. ტოზჩიანცი და მ. ი. თამამშევი; სარევიზიო კომისიაში: გ. ი. ხატისოვი, გ. მ. სარიანი, ნ. გ. აბრამიანი, სტ. თ. ჭრელაშვილი, ქ. ა. გერმიშევი, გ. ა. სულხანოვი, ი. მ. დოლუხანოვი, გ. ს. მიქელაძე და გ. გ. შახბუდაგოვი, და დარჩენილ გადასახადების კომისიაში დ. თ. ტიგრანოვი, გ. ზ. თამამშევი, კ. ი. ჯაფარიძე, ს. თ. ჭრელაშვილი და გ. ი. ბარტი.

◆ ბაქოს გუბერნიის მემამულეები შეეკითხნენ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას, გვაცნობეთ სად შეიძლება ბამბის თესლის შეძენა, რადგანაც ადგილობრივ არ იშოვებაო.

◆ 3 დეკემბერს პოლიციამ პეტრე დიდის ქუჩაზე დააპატიმრა ზუბალაშვილის მეეზოვე სუმბატ მურადიანცი და მასთან ლევან მნაცაკანოვი, მოსეს გასპარიანცი და გრიგოლ მარქარიანცი, რომელთაც 408 მ. 50 კაპ. საღირალი ნივთები მოჰპარეს ზუბალაშვილისაგან.

◆ 3 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე დიდუბის ქუჩაზე სეროფ ქემიშოვის ფურნეში შევარდა ორი შეიარაღებული კაცი და მოითხოვა ფული. მეფურნემ უარი განაცხადა, მაგრამ მათ დახლიდან ძალით გაიტაცეს 5 მან. მეეზოვეებმა როცა შეიტყეს ეს ამბავი გამოუდგნენ; მაგრამ მათ რევოლვერებით უპასუხეს მდევრებს და მიიმალნენ.

◆ 2 დეკემბერს, მესამე უბანში, საღამოს 7 საათზე სომეხთა ნერსესიან სემინარიის მეეზოვე დაიჭირა პოლიციამ. მეეზოვეს მინას ეგიაზაროვს აღმოაჩნდა რევოლვერი, სემინარიიდან მოპარული 8 ბაირაღი და სხვ. ეგიაზაროვი მეტეხის ციხეში დაამწყვდიეს.

◆ განქის ქუჩაზე 2 დეკემბერს, საღამოს 9 საათზე, პოლიციამ კარაპეტოვის ფურნეში დააპატიმრა თომა გევორქოვი, რომელსაც გაჩხრეკის დროს რევოლვერი აღმოაჩნდა. დაპატიმრებული მეტეხის ციხეში გაგზავნეს.

◆ თელავის ქუჩაზე ვიღაც შეიარაღებული კაცი მისულა ღამე, 2 ოქტომბერს აღნიშნულ ქუჩაზე მცხოვრებ კონსტანტინე სამადოვთან და კარები დაურაკუნებია. როცა სამადოვი გამოსულა, უცნობს სამჯერ რევოლვერი უსროლია და მიმალულა. სამადოვს ტყვია შემთხვევით ასცდენია.

## ქუთაისის ქრონიკა

◆ 1 დეკემბერს სპეციალისტებმა გამოსცადეს „კოლხიდის“ მამულში ახალი სისტემის აპარატი ვენახის საწამლებლად. გარეგნობით აპარატი „ავსტრია“ ვერმორილისას ჰგავს, ხოლო განირჩევა იმისგან მით, რომ გახსნილი შაბიამანი აპარატის მოქმედების დროს ირევა; გარდა ამისა, ბორდოსის წყალი უკეთესად ქუცმაცდება, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მევენახეთა ეკონომიაში. ერთად-ერთი ნაკლი აპარატისა მისი სიძვირეა, ვერმორელის აპარატთან შედარებით.

◆ ქუთაისის გუბერნიის მომრიგებელი შუამავალნი 1 დეკემბრიდან შეუდგნენ საყოველთაო აღწერას. 4 თვის განმავლობაში უნდა დაამთავრონ საქმე. მიმოსვლისა და საკანცელარიო ხარჯად შუამავლებს მიეცათ 600 მანეთი თითოს.

## ტფ. ქალაქის საბჭო

3 დეკემბერი.

ტფ. ქალაქის საბჭომ 3 დეკემბერს, წინა კრების ოქმის დამტკიცების შემდეგ, გამგეობის დადგენილების თანახმად, ფულით შემწეობა აღმოუჩინა ქალაქის ლომბარდის ყოფილს მსახურს მანდენოვს 240 მან. საბჭომ მიიღო აგრეთვე გამგეობის დადგენილება მასწავლებლად ნამყოფის მდ. ბაგრატუნისათვის პენსიად 550 მან. დანიშვნის შესახებ. ამ დადგენილების განხილვის დროს ხმ. ტიგრანოვმა პრინციპიალური საკითხი წამოაყენა საპენსიო წესდების შემუშავების საჭიროების შესახებ. ხმ. განაცხადა, სანამ საპენსიო თანხის შესადგენად წესდება არა გვაქვს, სანამ მოხელეებს ყოველ წლიურად არ გამოვერიცხებათ ჯამაგირიდან, შეუძლებელია ქალაქის კასამ ამ პენსიებს გაუძლოსო. ხმოსანმა წინადადება შეიტანა გამგეობა და საფინანსო კომისია შეუდგნენ საპენსიო წესდების შემუშავებას. ამ განცხადებამ ხანგრძლივი კამათი გამოიწვია. ბოლოს საბჭომ დაადგინა, წესდების შემუშავებას ეხლავე შეუდგეს საფინანსო კომისია.

ხმოსან მინაევმა გამგეობისა და საბჭოს ყურადღება მიაქცია ქალაქის ბორანის მდგომარეობას. ამ დღეებში დედა-შვილი ბორნით როყის ქუჩაზე გადადიოდა. ბორანი ჯერ მიმდგარი არ იყო ნაპირზე, ასე ერთი თუ ნახევარი არშინი აკლდა, ყმაწვილი გადაახტარა, ფეხი დასცდენია და წყალში ჩავარდნილა. ბავშვი დამხრჩვალა. მინაევის აზრით, ბორანთან რომ ნავი და სხვა მოწყობილება ყოფილიყო, შეიძლება ბავშვი არ დამხრჩვალიყო. თავმჯდომარემ აღუთქვა საბჭოს, მივიღებთ ზომებსაო.

შემდეგ საბჭო შეუდგა გამგეობის მეოთხე წევრის არჩევას. ბ-ნ ლუნკევიჩის თავმჯდომარეობით საბჭომ თათბირი იქონია ჯამაგირის შესახებ. გამგეობის წევრს ამ ჟამად 3060 მან. აქვს და ეტლის ქირადაც 250 მან. საბჭომ ეს ჯამაგირი დასტოვა. შემდეგ ბარათებით კანდიდატები დაასახელეს. 26 ხმოსანმა დაასახელა თავ. ა. მ. არღუთინსკი, 17-მა ს. თ. ჭრელაშვილი, 13-მა იურისკონსულტი ათაბეკოვი, 3-მა ქ. გერმიშევი, ხუთმა ხმ. ხუნუნცი, ხოლო ერთმა მელიქ-ბეგლიაროვი. ყველამ უარი განაცხადა, თ. ა. მ. არღუთინსკის გარდა. საბჭომ 35 ხმით 29 ხმის წინააღმდეგ გამგეობის მეოთხე წევრად აირჩია თავ. ა. მ. არღუთინსკი.

არჩევნების შემდეგ ხმოსანმა ნ. ელიავამ გამგეობას განმარტება მოსთხოვა ერთის საქმის გამო. ხმოსანმა განაცხადა: «ტფ. ლისტოკ»-ში აღნიშნული იყო, რომ ქალაქის მუშებმა გამგეობას მოთხოვნილებანი წარუდგინეს. გამგეობამ მოთხოვნილებანი უკანვე დაუბრუნა მუშებს და განუცხადა «მოთხოვნილებას» ვერ მივიღებთო. ხმოსანმა სთქვა: არ მესმის სიტყვა „მოთხოვნილება“ რას შეიცავს ისეთს, რომ გამგეობამ აღკრძალოსო.

თავმჯდომარემ გააცნო საბჭოს საქმის ვითარება. მან განაცხადა, საქმე «მოთხოვნილების» ხმარებაში კი არა, იმაშია, რომ მუშები ძალიან დიდს ფულს ითხოვენ. ადრე 25 მან. ჰქონდათ, ეხლა იმდენ რამეებს ითხოვენ, ფულად რომ ვიანგარიშოთ, 150 მან. უნდა მიეცეს თითოს. საიდან შეუძლიან ქალაქის გამგეობას ამოდენა ფულის გაღება? გარდა ამისა მუშებს კერძო კაპიტალისტებთან არ აქვთ საქმე, რომ მოთხოვნილებით მოვმართონ. ქალაქის თვითმართველობა თითონ არის დაინტერესებული ყველას მდგომარეობის გაუმჯობესობაში და იმას ისე არ უნდა შეხედონ მუშებმა, როგორც კერძო მექარხნეებს. მუშები გაფიცვითაც გვემუქრებიან და აი ამიტომ ჩავთვალეთ ასეთი საქციელი მოუთმენლადაო.

ხმ. ელიავა: მე იმის შესახებ არა გამბობ, შეიძლებმ თუ არა მუშების მოთხოვნილების შესრულება; მე მხოლოდ ის მაოცებს, რომ გამგეობას სიტყვის «მოთხოვნილესის» გაგონება აშინებს. თუ ამ ორის წლის წინად შეიძლებოდა «მოთხოვნილება» თავისუფლად მოგვესმინა, ეხლა რათ გაშინებთ ეს სიტყვა? მე მინდა ვიცოდე, ეხლა როგორ გამგეობასთანა აქვს საბჭოს საქმე. ამიტომ ვითხოვ მიპასუხოთ, „მოთხოვნილება“-ში რას ჰხედავთ ისეთს, რომ იგი „ნე ტერპიმად“ იყოს მიჩნეულიო. იქნება ეს სიტყვა გამგეობას აშინებს დღევანდელ ცხოვრების პირობების გამო. მაშინ ჩემთვის გაუგებარი იქნება გამგეობის ფიზიანომიაო.

თავმჯდომარემ სთქვა, სიტყვა მოთხოვნილება კი არ გვაშინებს, თვით უცნაური შინაარსი მოთხოვნილებისაო.

ხმ. ელიავამ მოისურვა პასუხის გაცემა, მაგრამ ხმოსნებმა გამორკვეულად სცნეს საკითხი.

დასასრულ საბჭომ აირჩია კომისიები.

## პროვინციის ცხოვრება

—:—

**თრიალეთის ნაწილი** (ბორჩალოს მაზრა). არ ვიცი, როგორ აგწეროთ ამ პატარა წერილში აქაურ გლეხების უნუგეშო მდგომარეობა. საკმარისია ფეხი შესდგათ რომელსამე სოფელში, რომ მთელი გლეხები, ნახევრად შიმშილები და მშივრები, გარს შემოგეხვივნენ და თავიანთ აუტანელს მდგომარეობაზედ დაგიწყონ ლაპარაკი. „პური... პური... და პური“—გაისმის ყოველ მხრიდან. რა ვქნათ? სად გადავცვივდეთ? რით უშველოთ ჩვენს თავს? ეს კითხვებია, რომელსაც აძლევს თვითეული გლეხი თავის თავს. აი, ნახევრად შემოგლეჯილ ფარაჯაში გახვეული გლეხი ასე უჩივის თავის ბედს: „ნეტა ერთ თადარ პურად მაქცია, რომ ჩემმა ცოლშვილმა შემჭამოს და იმათ გაჭირებას არ მაყურებინაო“. დიახაც რთ საფიქრებელია აქაურ გლეხის მდგომარეობა. შიმშილი შარშანვე დაიწყო აქ. გლეხებმა ჭურჭელი და ლოგინიც კი გაჰყიდეს ლუკმა პურისთვის. წლევანდელმა წელიწადმა, ყველასაგან ცნობილ გვალვების და სეტყვის გამო, ცარიელზედ დასვა გლეხები. უთესლობის გამო ბევრგან ნახნავები დაუთესავი დარჩათ. პურის სასყიდლათ გლეხები 30—40 ვერსის მანძილზედ მიდიან. ფუთი პური დირს 2 მან. ხმები დადის, რომ სხვაგანაც პური გამოილევა და მაშინ არ ვიცი, რა უნდა ქნას აქაურმა გლეხობამ; მით უმეტეს, რომ თრიალეთის ნაწილის გლეხობა მომეტებულ შემთხვევაში პურის მოყვანას მისდევს. მიუხედავად ამისა ყველა ისინი, ვინც კი წურბელასავით ჩასჭიდებიან გლეხს, თავისას არ იშლიან და აწიოკება გლეხობისა ჩვეულებრივი მოვლენა გახდავთ. თითქმის მთელი თრიალეთის ნაწილი თავადების ხელშია. ზოგიერთმა მათგანმა პოლიციას გადასცა ასაკრეფად იჯარის ფული და ამ უკანასკნელს სტრაჟნიკებისა და ყაზახების წყალობით ანადღიბენ, მიუხედავად იმისა, რომ გლეხებმა წლეულ მათი მამულებიდან ზარალის მეტი არა ნახეს რა. სოფ ბასლებში სტრაჟნიკებმა იჯარის ფულში ერთს გლეხს გაუყიდეს უკანასკნელი თადარი პური. სოფ. ყალამშაში თითქმის ყოველ დღე დაიარებიან სტრაჟნიკები ფულისთვის ამ ცოტა ხანში გლეხებმა მიიღეს სესხად ფული. ბოქაულმა რამდენისამე დღის შემდეგ გამოგზავნა სტრაჟნიკები და ძალით გამოატანა მიღებული ფული გლეხებს. „ეჰ, ჩვენთვის კი არა, ბატონებისთვის გვასესხა მთავრობამ ფულიო“, გაიძახოდნენ გლეხები.

ყველა უბედურებას ზედ დაერთო ყაჩაღობა. ადმინისტრაცია, რასაკვირველია, ყურს არ იბერტყავს. ამ ცოტა ხანში ყაჩაღებმა მოჰკლეს ბორჩალოს მაზრაში ცნობილი კაპიტალისტი კოჩიევი. ისე დღე არ გავა, რომ მგზავრები არ გასცარცვონ. ერთს გლეხს ხარები დაუყიდნა და პურის სასყიდლად მიდიოდა. შეხვდნენ ყაჩაღები და ფული წაართვეს. ხმები დადის, რომ ყაჩაღების რიცხვი საშინლად იმატებს უმოკლეს ცოტა ხანშიო. ეტყობა, ზოგიერთ ზანდს უკანასკნელ საშუალებისთვის მიუმართავს: „უბედურს კაცს ქვა ადგილზე მოუწევსო“, ნათქვამია განზრახ საქონლის საშინელი ჭირი სოფ. ყალამშაში, ბასლებში, შიდლიარში და სხვაგან. ბევრი გლეხი საქონლიდან ცარიელზედ დასტოვა. სოფლელები ვერც კი ჰბედავდნენ შეეტყობინებინათ ბეითლისთვის; იგონებდნენ წინა წლებს, როდესაც ბეითალი მოუწვევიათ. მაინცა და მაინც ჭირმა თავი ვერ დამალა და შემდეგ დიდის ზარალისა, ედირსნენ გლეხები ბეითალს, რომელსაც, თავისს სტრაჟნიკების გარდა, პოლიციის სტრაჟნიკებიც ახლდნენ თან. ვნახოთ როგორ მზრუნველობას გაუწევენ ილაჯ გაწყვეტილ გლეხებს? **ცალი**.

—

**ფოთი**. დიდის დავი-დარაბის შემდეგ ქალაქის გამგეობამ, როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, გახსნა აფთიაქი. ამის წინააღმდეგ გაილაშქრა ხმ. ბ. პანამარიოვმა, რომელიც 1906 წელს საბჭოს კრებაზე ამტკიცებდა, რომ აფთიაქის გახსნა ქალაქს ზარალს მოუტანსო. მხოლოდ 8 მაისს 1907 წ. საბჭოს და გამგეობას უმტკიცებდა, იჯარით გაეცეთ აფთიაქი და 3000 მ. შემოგვიტანს წელიწადში უზრუნველადაო. ეხლა საბუთი ქალაქის აფთიაქის წარმოებისა სულ სხვას გვიკარნახებს. გამგემ ანგარიში წარადგინა გამგეობაში 11 მარიამობისთვიდან 1 ნოემბრამდე და, როგორცა სჩანს, ამ ხნის განმავლობაში ქალაქს წმინდა შემოსავალი დარჩა 2298 მ. და 39 კაპ. ასე თუ აწარმოეს აფთიაქის საქმე, ქალაქს მოგება დარჩება და მცხოვრებლებს დიდ სამსახურს გაუწევს. ზოგიერთი ხმოსნები იმასაც კი ამტკიცებდნენ, რომ მმართველად ან პოლონელი ან გერმანელი უნდა მოვიწვიოთ, თორემ ქართველი საქმეს წაღმა ვერ წაიყვანსო. აფთიაქს მოგება შემოაქვს გამგეობაში, მაგრამ არა მგონია ქალაქის სამკურნალომ, რომელიც იჯარით გასცეს, რამე სარგებლობა მოიტანოს. გაიცა იჯარით თუ არა სამკურნალო, ქალაქის ფერშალი ფულარია მაშინვე გააძევეს მოიჯარადრეებმა. თურმე ნუ იტყვით, ერთ ჩინოსანს არ მოსწონებია მისი ფიზიანომია. ეჰ, მახლას! მობრუნებულა „слушаюсь“ დრო და ეხლა ის გაიტანს თავს, ვინც იმას ემსახურება, მხოლოდ დრუებით...

**მეფუთე.**

—

ს. **ვევუთი**. ქუთაისის გენ.-გუბერნატორად ნამყოფი გენერალი იაზიკოვი დიდი მოყვარული იყო ადმინისტრატიულ სასჯელისა, და უკანასკნელ 8—9 თვის განმავლობაში ქუთაისის გუბერნიიდან ცივ ქვეყნებში გაიგზავნა თურმე 3.000 კაცი. მაზრის მოხელეებმა რომ გაიგეს უფროსის მიდრე...

---

გრძნობა-ღა ჰქონდა ახლა მას გულში, მხოლოდ ერთი აზრი უტრიალებდა თავში, რომ, რაც შეიძლება ჩქარა მოეშორებინა თავიდან ეს პაწია ტვირთი, რომელიც ახლა ტყვიასავით აწვა ხელზე და მთელ სხეულს სწვავდა. აი, გავიდა კიდევაც ქალაქის განაპირას. ხალხის დენამ თან და თან იკლო. ფარნებიც ისე ხშირად აღარ ენთო და ირგვლივ ღამის ბურუსი თავისუფლად გავრცელებულიყო. გაიარა თეთრი დიდი შენობა და გამოჩნდა მიგდებულ ბავშთა თავშესაფარის ეზოს დიდი ჭიშკარი. „აი, აქ უნდა დავსვა“—გაიფიქრა ქალმა და გაფაციცებით მიიხედ-მოიხედა. ირგვლივ არავინ არ სჩანდა. დარაჯიც არ იჯდა თავის ალაგას ჭიშკართან. მხოლოდ აქ მდგარი ცარიელი ხის სკამი ამტკიცებდა, რომ ის იყო აქ და საცაა ისევ გამოვა. რაღაც სიხარული მოეფინა ქალის სახეს; გულის ფანცქალით მიირბინა, საჩქაროდ მოატრიალა ჭრელ საბანში შეხვეული პაწია ბავშვი და სწრაფად დადვა დარაჯის სკამზე. ერთ წუთს ის შეჩერდა. ბავშვს ისევ ტკბილად ეძინა და ნელა აცმაცუნებდა წითელ ტუჩებს. ქალი მოტრიალდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა გაჰქანდა ქუჩის მეორე ნაპირისაკენ და გაიქცა პირდაპირ, თავისუფალი, გაღიმებული.

ის მირბოდა, მირბოდა და არ გრძნობდა სად, რისთვის და რამდენ ხანს მირბოდა. მირბოდა დიდ-ხანს და უცებ შეჩერდა, თითქოს ბავშვის ტირილი შემოესმა, და მიიხედ მოიხედა. ირგვლივ სიჩუმე იყო. მოკრიალებულ, ვარსკვლავებით მოჭედილ ციდან, ციაგი მთვარე, თითქოს მხიარულის ღიმილით დაჰკაშკაშებდა ქვეყნიერობას. სადღაც შორს ლოკომოტივის მკვახე კივილმა გასჭრა ჰაერი და გაისრიალა მსუბუქი ნისლით მობურვილ ველზე და ისევ ყველაფერი მიყუჩდა. მხოლოდ ბავშვის ტირილი მკაფიოდ ისმოდა და დედა დარწმუნებული იყო, რომ ტიროდა სწორედ იმის პაწია ბიჭი. ქალი შეკრთა, დაიხარა და გასწია ორივე ხელები, თითქოს უნდოდა ბავშვის აყვანა, ისე როგორც დილით, როცა წყლისათვის გარედ გავიდა და პაწია სწორედ ამნაირად გულაჩუყებული მტირალი დახვდა ოთახში. მსუბუქი, გრილი ნიავი მოხვდა იმის გახურებულ შუბლს, მან საჩქაროდ გადისვა თავზე ხელი და დააკვირდა ირგვლივ მიდამოს. მარჯვნით, თითქოს ალერსით მობუტბუტებდა მთვარის შუქით შევერცხლილი განიერი მტკვარი და თავის დუდუნს უერთებდა ნაპირებზე გაშლილ ბაღების შრიალს. მარცხნით კი მდუმარედ გაჰქიმულიყო დიდი მინდორი; მხოლოდ პაწია ბავშვის ტირილი ჰკვეთდა ირგვლივ გამეფებულ საშიშარს, იდუმალ სიჩუმეს, თითქოს საოცარის სისწრაფით იკაფავდა გზას და დედის გულში მწვავე სატკივარად ეწვეთებოდა.

შორს, წინ გზის პირას დუქანში მოსჩანდა მბჟუტავი სინათლე და უცებ ჰაერი გაავსო არღნის მკახე წკრიალმა. ტირილი კი მაინც ისმოდა. ქალმა კიდევ გადაისვა შუბლზე ხელი, ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა, და უცებ ყველაფერი მოაგონდა. საშინელი კვნესა ამოხდა გულიდან: საჩქაროდ მოტრიალდა და გაშმაგებით გაიქცა უკან.

მისი ერთად-ერთი სურვილი და საფიქრელი ახლა ის იყო, რომ ბავშვი ეპოვნა და უკან წაეყვანა.

— რა ვქენი, რა ვქენი!..—კვნესოდა ის გულსაკლავად და მირბოდა, მირბოდა, მრთელის თავის ძალ-ღონით.

სწორედ ერთი დღის შემდეგ, ბავშვის მამა ახალგაზრდა ვანო, რადგანაც წინა ღამეს თეატრში იყო, დილით გვიან ადგა. მოირთო ლამაზად: თოვლივით თეთრი გახამებული საყელო-სამაჯურები გაიკეთა და სასადილო ოთახში თავის და-ძმებთან ერთად ჩაის დასალევად მხიარულად გამოვიდა. სანამ ჩაი გაცივდებოდა, მან აიღო აქვე მდებარე გაზეთი და კითხვა დაიწყო. სხვათა შორის, შიგ ამოიკითხა: „27 მარიამობისთვეს საღამოს ვერაზე საბებიო ინსტიტუტის ჭიშკრებთან (აქვე არის მიგდებულ ბავშვთა თავშესაფარიც) მიუგდიათ რამდენიმე დღის ბავშვი მამრობითის სქესისა“. და ცოტათი ქვევით: „ამავე საღამოს 11 თუ 12 საათზე ვერის ბაღების ხიდთან ვიღაც ქალს, რომელიც შემდეგ მარიამ ს... აღმოჩნდა, ეტლმა გადაუარა და მარჯვენა ხელი და ფეხი დაუშავა. ქალი ქალაქის საავადმყოფოში წაიყვანეს. როგორც ეტყობა, უბედური მთვრალი ყოფილა, ამას ამტკიცებს მეეტლისა და ეტლში მჯდომთა, ვერის ბაღებში სავახშმოთ მიმავალთა, მოწმობა, რომ ქალი ბარბაცით მორბოდა, თავშიშველა, სრულიად გაწეწილი რამდენიც არ ვუყვირეთ გადამდგარიყო გზიდან, არ გადადგა და ცხენების შეკავება თავდაღმართზე შეუძლებელი იყოო“.

ვანო ერთ წამს ჩუმად ჩასცქეროდა გაზეთს, შემდეგ განზე გადადვა, ნელა დალია ჩაი, ადგა და გავიდა ოთახიდან.

ბავშვი კი დარაჯმა და პოლიციელმა გვიან მიიყვანეს თავშესაფარში, რადგანაც ჯერ პოლიციაში წაიყვანეს (ასეთი ჩვეულება აქვთ), სანამ იქ ოქმს შეადგენდნენ, შემდეგ მოწერილობას დასწერდნენ თავშესაფარის გამგესთან, რომ ბავშვი მართლა მიტოვებულია და სავალდებულოა მიღებულ იქმნას ბავშვი საფარში, კარგა ხანი გავიდა; იქნება მოშივდა, ან იქნება შესცივდა, ან შეიძლება ისე ფრთხილად და ნაზად მეეზოვე და პოლიციელი ვერ ატარებდნენ, როგორც დედი, ბავშვი მწარედ სტიროდა. თუმცა სწორედ ის დრო იყო, მაგრამ არა მგონია, რომ დედას იქ, შორს, მინდორში ნამდვილად ბავშვის ტირილი გაეგონა, მე მგონია დედის სევდიანი გული გრძნობდა მხოლოდ ბავშვის ტანჯვას.

მისაღებ ოთახში მორიგი ქალები სთვლემდნენ და მტირალი ბავშვის მოყვანა არად იამათ, მაგრამ ბავშვი მაინც საჩქაროდ მიიღეს. ქაღალდი სხვა ქაღალდებთან მაგიდაზე დადვეს და ბავშვი გახსნეს.

— ვაჟი ყოფილა,—სთქვა ერთმა და დაუმატა ხელზე ამასაც წითელი ძაფი აბია.

— ვითომ მოიკითხავს ვინმე! დღეს ეს მეოთხეა და ყველას ძაფი ჰქონდა შებმული... გადააგდო, თავიდან მოიშორა და ისევ წაიყვანს!—სთქვა დაცინვით მეორემ, რომელიც ეტყობოდა უფროსი იყო და დაუმატა,—ეჰ, როგორ იჭაჭება. ეტყობა ამალამ ძილი არ გვიწერია, ჩაუდევი რამ პირში.

— აი, მჩვარში გახვეული პურის გულიც ჰქონია... მთლად სველია, ქალბატონო.

— ეჰ, არა უშავს რა. ამალამ არ მოკვდება, ხვალ ძიძას დავიბარებთ და მივსცემთ.

ბავშვმა ხარბად დაუწყო წოვა პურის გულიდან მჩვარს და დაჩუმდა.

— რა მშვენიერი ბავშვია, ქალბატონო, აბა დახედეთ... აი, რაღაც ქაღალდის ნახევიც.

— მოიტა აქ,—უფროსმა ქალმა ჩამოართვა ქაღალდი და წაიკითხა: „ცხრა დღისა ვარ, ლევან მქვიან“.—სახელიც რომ დაურქმევია... ეს მეორე ლევანა მოიყვანეს დღეს.

— ორი ლევანა და ორი მარიამი,—სთქვა დედაკაცმა.

ბავშვი რაკი დარწმუნდა, რომ ჩვარი მოსატყუებელი იყო, ატირდა, მაგრამ ისევ ჩქარა დაუწყო წოვა, ცოტა ხანს ჩუმად იყო, შემდეგ ისევ ატირდა და მთელი ღამე ტირილით გაათენა. მეორე დღეს დილით ძიძას ჩააბარეს.

ძიძა სცხოვრობდა ქალაქის განაპირას, პაწია ქოხში. ერთობ ღარიბი იყო, გამხდარი, ძუძუში რძე არა ჰქონდა. თავის ბავშვები ბევრი ჰყავდა და აიყვანა „კაზონი“ ბავშვი მხოლოდ იმიტომ, რომ იმ ერთი თუმნით თვეში, რომელსაც ამ ბავშვის გამოსაკვებად აძლევდნენ, თავის ბავშვები და ოჯახიც გამოეკვება. ამიტომ ლევანა სულ მუდამ მშიერი იყო, სულ ერთთავად ტიროდა და სულ მუდამ დილიდან საღამომდის და საღამოდან დილამდის არწევდნენ და არწევდნენ. ბავშვი დაბრუვდებოდა და ჩაეძინებოდა, მაგრამ გაეღვიძებოდა თუ არა, ისევ მორთავდა გულსაკლავ ტირილს. მაშინ მეზობლები ამბობდნენ, რომ ყმაწვილს მუცელი სტკივა, ავთვალ ნაკრავია, „ხომ ხედავთ, ორ თვეში ფუნჩულა ბავშვი სრულიად გამოიცვალა, ძვალ-ტყავა გახდა. ამას ექიმობა უნდაო“ და ექიმობდნენ: ზოგი ულოცავდა და რაღაც გამოკერილ ნაჭრებს აბამდა კისერში, ზოგიც რაღაც ქვებს ულესავდა არაყში და ალევინებდა. დალევდა თუ არა არაყში გალესილ „წამალს“, ბავშვი დაითვრებოდა, მაშინვე ჩაიძინებდა და დიდხანს ეძინა.

— აი, ხომ ვსთქვი, მუცლის ტკივილი აქვს მეთქი, ხედავთ, მორჩა ბავშვი, აღარ ტირის,—ამბობდა გახარებული მეზობელი,—ჩემი წამალი უებარი წამალია.

მადლიერი ძიძა ყიდულობდა და ყიდულობდა მეზობლისაგან „უებრო“ წამალს; ეს უფრო იაფი და სასარგებლო იყო იმ წამალზე, რომელსაც თავშესაფარის ექიმი უწერდა, თვეში ერთხელ, როცა საჩვენებლად მიჰყავდა; მაგრამ ბავშვის ავადმყოფობა, მეზობლების აზრით, ექიმს არ ესმოდა. **ნინო ნაკაშიძე.**

(დასასრული იქნება)

კილდება, მტუუანს და მართალს ვიატკის გუბერნიისაკენ ჰგზავნიდნენ ქუთაისის მაზრის ადმინისტრაცია იქამდისაც კი მივიდა, რომ ითომ თვით ხალხი ფარულის კენჭის ყრით ასახლებდა ადმინისტრატიულ წესით გასაგზავნ კაცებს. ეს „ფარული“ კენჭის ყრა იმაში გამოიხატებოდა, რომ ბოქაული ან სხვა მოხელე სამაზრო ადმინისტრაციისა სხვა და სხვა პირთაგან დასმენილ კაცების სიას ადგენდა, და ამ სიაში მოთავსებულ კაცების შესახებ ცნობებს ჰკრეფავდა სოფლელებისაგან ცალ-ცალკე და თე აღმოჩნდებოდა, რომ სოფლის უმრავლესობისას საეჭვოდ მიაჩნდა ნაშანში ამოღებული კაცი, იმისი ბედი გადაწყვეტილი იყო. სდგებოდა თუ არა „უმრავლესობა“ შეკითხვის შემდეგ, ეს ბოქაულის საიდუმლოებას შეადგენდა, და ამნაირად ადმინისტრატიულად დასჯილთა რიცხვი მრავლდებოდა.

ქსლა, როცა სხვა ნიავმა დაჰბერა, თანდათან ირკვევა რა თვისებისა იყო „ფარული კენჭის ყრა“. ქუთაისის მაზრის ბოქაულისა და მაზრის უფროსის წარდგენით ადმინისტრ. ტიულ წესით უნდა გადასახლებულიყო 6 მცხოვრები სოფ. ბებუთისა, ვითომ სოფლისაგან ფარულის კენჭის ყრით გადაწყვეტილების თანახმად. ხსენებული 6 კაცი დააპატიმრეს, ორი კიდევაც გაჰგზავნეს, ხოლო ოთხის შესახებ საქმე სწარმოებდა კიდევ იმ დროს, როცა ახალი გუბერნატორი დანიშნეს. ბებუთელების საქმე მოხსენდა გუბერნატორს, რომელსაც საქმის ვითარების გაგება მოუნდომებია და მაზრის უფროსს შეჰკითხებია; უკანასკნელს ბოქაულისთვის მიუმართავს და რადგან „ფარული კენჭის ყრა“ ახალი კურსის გამო უვარგის იარაღად უცვნია ბოქაულს, სოფლის ყრილობა მოუხდენია და შეჰკითხებია—მიგაჩნიათ თუ არა ს. ბებუთის მცხოვრებნი ბაგრატ და ვარლამ დათომვილები, კოზმა დათიაშვილი, გერასიმე კუხიანიძე, ფარნაოზ და ტიმოთე სირაძეები სოფლის მავნე პირებადაო. სოფლის ყრილობას, წინააღმდეგ „ფარულ კენჭის ყრისა“ 16 ამ თვეს გამოუტანია გადაწყვეტილება, რომ ხსენებული კაცები სოფლის მავნენი არ არიან, და შესაფერი განაჩენი გაუგზავნიათ მაზრის ადმინისტრაციისათვის. ჯერ არ ვიცით, რა ბედი მოელით ჩვენის სოფლის მკვიდრთ, რომელთაგან ორი რუსეთშია, დანარჩენი ქუთაისის ციხეში, მაგრამ მაზრის ადმინისტრაცია, ეჭვი არ არის, რამე ცრიკს მოსდებს სოფლის ყრილობის მიერ გათეთრებულ კაცებს და ჩრდილოეთისაკენ უკრავს თავს, თუ, რასაკვირველია, ახალმა კურსმა არ უშველა.

**ბქაური.**

—

**ფოთი.** არ დარჩენილა არც ერთი ქალაქი, დაბა, სოფელიც-კი, რომ უკვდავ მგოსნის ილიას დაბადების დღეს 27 ოქტომბერს საღამო არ გაემართოს. მხოლოდ ერთად-ერთი ფოთი ჩამორჩა უკან არა თუ ქალაქებს, სოფლებსაც-კი. მიზეზი ბევრია და უმთავრესი კი დაუდევრობა ჩვენის ახალგაზრდობისა. თუმცა რამდენმამე პირმა 27 ოქტომბრისათვის მოინდომა სალიტერატურო საღამოს გამართვა, მაგრამ რადგან შენობა ვერ იშოვნეს, სხვა დროსათვის გადასდეს. მას შემდეგ დრო გავიდა და ეხლა შენობაც იშოვება. თუ იმ დროს სამოქალაქო სასწავლებლის გამგეს სკოლის დარბაზში ნება არა ჰქონდა რაიმე საღამოს გამართვისა, ეხლა ნებართვა აღებულია. ასე რომ თუ კი გული გულობს, შეიძლება საღამოს გამართვა. როგორც დანამდვილებით გავიგე, ამ ცოტა ხანში რამდენიმე საღამო უნდა გამართონ სხვა და სხვა მიზნისათვის. საჭიროა ილიას ფონდის გასაძლიერებლადაც გამართვა საღამოსი. ეს ადვილია, თუ კი რომელიმე ფოთელი დიასახლისი არ დაიზარებს შრომას. დამხმარებული, დარწმუნებული, ვარ ბევრი აღმოჩნდება.

**მეძგარი.**

# სასამართლო

### ყუმბარები

10 დეკემბერს ტფ. საოლქო სასამართლო გაარჩევს ორ საქმეს შესახებ ყუმბარების შენახვისა.

1907 წ. 13 ივნისს მუხრანის ქუჩაზე მეჩექმე გიორგი კასრაძის ბინაზე აფეთქდა ყუმბარა, რომელმაც იქაურობა მიანგრ-მოანგრია და მოჰკლა ანდრო კასრაძე, ალექ. კასრაძე და ლევან მინდიაშვილი; [illegible]

რამოვი, რომელთაც ბრალად ედებათ სახლში ყუმბარის შენახვა.

—

23 აგვისტოს 1907 წ. ქუჩად მიმავალმა სამმა უბნის ზედამხედველმა რაღაც საეჭვო ხმაურობა გაიგეს მელვინოვის სახლში. სამივენი ეზოში შევიდნენ და დაინახეს, რომ სამი კაცი მიწას სთხრიდა. ორნი გაიქცნენ, ერთი კი—მარქაროვი პოლიციელებს ხელში შერჩათ. ნათხარი გასინჯეს და იპოვეს პატრონები, ასაფეთქებელი მასალა, 80 არშინი პატრუქი, 13 ყუმბარა, რევოლვერი, ორი თოფი და პატრონები. ამ საქმის გამო სამართალში მისცეს ოსმალეთის ქვეშევრდომნი ნაზო, ზალო და მელქო მარქაროვნი, რომელთაც ბრალდ ედებათ ყუმბარების ასაფეთქებელ მასალის შენახვა.

## თეატრი და ხელოვნება

—:—

**სახალხო წარმოდგენა.** შაბათს, 1 დეკემბერს, ავჭალის აუდიტორიაში ტრამვაის სცენის მოყვარეთა ახალმა წრემ გამართა წარმოდგენა. წარმოადგინეს 3 მოქმედ. პიესა „ორი დარაჯი“ თარგმ. ფ. ქორსიძისა. ეს პიესა დაძველებულია, თანაც მელოდრამატიული ელემენტი მიგ ბლომად არის გაბნეული და ამისათვის სახალხო სცენის მიზანს არ ეთანხმება, ეხლა სულ სხვა საკითხები წარმოშვა ცხოვრებამ, მეტად მწვავე და მნიშვნელოვანი, რომელთა გარკვევას სცენამაც ხელი უნდა შეუწყოს. ამ ჯურის პიესები დღევანდელ დრამატიულ ლიტერატურაში ბევრია და რომელსამე მათგანის წარმოდგენა უფრო დიდს ნაყოფს გამოიღებს. სასურველია ჩვენმა სცენის მოყვარეებმაც მკვდარ მასალას თავი დაანებონ და თანამედროვე საჭირ-ბოროტო საკითხთა განმარტებასა და ხალხის თვალწინ ცოცხალ სურათების წარმოდგენას არ უძღუნონ.

ხსენებულმა წარმოდგენამ საერთოდ რიგიანად ჩაიარა. თუმცა ზოგიერთი დეფექტი მაინც იყო მეტადრე რეჟისორის სელი არა სჩანდა. სცენარიუსი სრულებით არ უნდა ყოფილიყო, ან თუ იყო, ალბად სახელით, საქმით კი არა.

მოთამაშეთაგან კარგები იყვნენ ბ. ბადაშვილი (გულისუხმო).ხოჯაშვილი (მარშალი), ანაშვილი (ციხის უფროსი), ნიკიფოროვის ქალი (სოფიო). მათ რაც ძალი და ღონე შესწევდათ, საკმაოდ ცოცხალი და სინამდვილესთან დაახლოვებული ტიპები დაგვიხატეს. ბ-ნი მკერვალიძე (ადიუტანტი) სუსტობდა. აკლდა საჭირო რიხიანობა. ბ. კუპუნია მალზე დელავს სცენაზედ და თუ უფრო ბეჯითად იმეცადინეს, რიგიანი სცენის-მოყვარე დადგება. არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ქ. საყვარელიძე (ლავრენტა გულისუხმოს საცოლე), რომელსაც დისონანსი შეჰქონდა საერთო ანსამბლში. მეტად ცელქობდა. იმედია, როგორც რეჟისორი, ისე თითონ სცენის მოყვარენიც შრომას არ დაიზარებენ და უკეთესს პიესებს და უფრო მომზადებულად მოგვაწვდიან შემდეგში.

დასასრულ მცირე შენიშვნა. წარმოდგენის დაწყება დანიშნულ დროს არ უნდა გადააცილონ ხოლმე და ტყუილ უბრალოდ არ ალოდინონ საზოგადოება. თითონ საზოგადოებამაც ცოტათი რიგიანათ უნდა დაიჭიროს თავი, წესიერება თითონ უნდა დაიცვას ხოლმე, წარმოდგენის დროს ლაპარაკი და ხმაურობა ყოვლად შეუძლებელია.

**თანამგრძნობი.**

—

**მოსკოვი.** 17 ნოემბერს ცნობილმა მსახიობმა ა. ი. სუმბათაშვილმა გამართა აქ მე-32 ქართული საღამო, რომელსაც დიდძალი ხალხი დაესწრო. საღამოს საკონცერტო განყოფილებაში ბევრმა გამოჩენილმა სცენის მოღვაწემ მიიღო მონაწილეობა და ამიტომ კონცერტმა ჩინებულად ჩაიარა. სხვათა შორის, მონაწილეობა მიიღეს მომღერლებმა: ი. მ. ტერიანყორღანოვისამ, ო. ი. კამიონსკიმ, ს. გ. ვლასოვმა, დრამატიულმა არტისტმა ქალმა ნ. ა. სმირნოვისამ და მემუსიკეებმა გ. ი. იგუმნოვმა (როიალი) და ა. ი. მოგილევსკიმ (სკრიპკა). უნდა ემღერნა აგრეთვე ცნობილ ქალს ფოსტრემს, მაგრამ სწორედ ამ საღამოს უქეიფოდ გახდა.

საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ქ-მა ნ. ა. ისკანდერბაზუტაშვილმა, რომელმაც ჩინებულად შეასრულა ოპერის „თამარ ცბიერი“-დან ცირას ორი არია „ნანინა“ და „შემურდა“. საზოგადოებამ ხანგრძლივის ტაშის ცემით დააჯილდოვა ახალგაზრდა მსახიობი და რამდენჯერმე გაამეორებინა ხსენებული არიები.

ძალიან შეუწყო ხელი საღამოს მწყობრობას ბ-ნმა ა. გ. ფოცხვერაშვილმა, რომელიც ხოროს (ორკესტრითურთ) ლოტბარობდა. ქართული ხორო. [illegible] რობებში ძნელი იყო მათგან ქართულ ხოროს შედგენა. მაგრამ ბ-ნ ფოცხვერაშვილის არა-ჩვეულებრივმა ნიჭმა და თვენახევრის დაუღალავმა შრომამ ყველაფერსა სძლია და მართლაც რომ ქართული ხორო შეჰქმნა. გაუგონლად ძნელია იმის აღწერა, რა ნაირად შეასრულა ხორომ თავისი სიმღერები. საკმარისია იმისი თქმა, რომ მან აღტაცებაში მოიყვანა რუსის საზოგადოება, რომელიც წინა-წლებში მარტო ამთქნარებდათ ხოლმე ქართულ სიმღერების ასრულების დროს. ხორომ სულ რვა სიმღერა შეასრულა. საზოგადოებას ყველაზედ უფრო მოეწონა „ჩერო“, „ვახტანგ ნეფე“, „მურმან“, „სამშობლო“ და „გოგონა.“

საზოგადოდ, საღამომ ძალიან კარგად ჩაიარა, რასაც ხელს უწყობდა საკონცერტო დარბაზის მოწყობილობა. განსაკუთრებულს ყურადღებას იქცევდა საგანგებო კიოსკები.

**მოსკოველი.**

# რუსეთი

—:—

✦ **კამიშინსკის სიტყვა.** სოც. დემოკრ. ფრაქციის გასამართლების დროს ბრალს სდებდა პეტერბურგის სამოსამართლო პალატის პროკურორი კამიშანსკი. მისი სიტყვა გაგრძელებულა დილიდან ნაშუადღევის 4 საათამდე. მას მეტიდ ცხარედ ულაპარაკნია და რუსეთის სოც. დემოკრატებისთვის ანარქისტები დაურქმევია. კამიშანსკის უთქვამს, რომ თავის სიტყვისთვის მასალა შეუგროვებია უმთავრესად პარტიულ ლიტერატურიდან. მან თავის სიტყვაში ისიც აღნიშნა, რომ რუსეთის სოციალისტები უფრო ავაზაკთა ბრბოს ჰგვანან, ვიდრე ნამდვილ სოციალისტებსაო.

✦ **კაულბარსის გადაყენება.** ამას წინად სატახტო ქალაქების გაზეთები იუწყებოდნენ, ვითომ კავკასიის ნამესტნიკი გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი ინიშნება ოდესის გენერალ-გუბერნატორად ნაცვლად გენ. კაულბარსისა, რომელიც ავადმყოფობის გამო სამსახურს თავს ანებებსო. ეხლა იგივე გაზეთები იუწყებიან, რომ კაულბარსის მაგივრად ინიშნება ცნობილი გენერალი რენენკამფი, რომელმაც სახელი გაითქვა ციმბირში რევოლუციის ჩაქრობით. ამ ჟამად რენენკამფი კორპუსის უფროსად არის ციმბირში.

✦ **ვოსტორგოვის ლოლოტი.** იაროსლაველ ჭეშმარიტ რუსებს ეჭვი მიუტანიათ ვოსტორგოვზე, ნამდვილი „ჭეშმარიტი“ რუსი არ არისო და წარუდგინეს ასეთი ბრალდება: 1) მართალია თუ არა, ვითომ თქვენ ზუბატოვის კვალს გაჰყევით, მიიღეთ მისი რწმენა და მის მიმდევართა შორის ქირაობდით აგიტატორებსა და ორატორებს? 2) მართალია თუ არა, ვითომ თქვენ მოგესყიდოთ პეტერბურგში ჩვენი კავშირის მთავარი საბჭო დუბროვინის გასაძევებლად? 3) მართალია თუ არა, ვითომ თქვენ არ გწამდეთ ჩვენი პროგრამის მთავარი ბურჯი—თვითმპყრობელობა რუსეთის მეფისა და თქვენს გაზეთ „კოლოკოლ“-შიაც ამის შესაფერ წერილებს ბეჭდავდეთ? 4) მართალია თუ არა, ვითომ თქვენ შეთანხმებულიყავით ოქტომბრისტებთან და აგიტაციას ეწეოდით, რომ ჩვენი პარტია მათს პარტიას მიმხრობოდა და დახმარება აღმოეჩინა მათთვის არჩევნებში?“ დასასრულ ვოსტორგოვს სთხოვენ, დაუყონებლივ მოგვეცით ამ კითხვებზე პასუხი, თორემ პარტიიდან გაგაძევებთო.

რედაქტორ-გამომცემელი
ე. გელიშვილი.


# განცხადებანი

## აბანო

ქუთაისის მაზრა, სოფ. ნაძვაში, ტყიბულის რკინის გზის პლატფორმიდან ოთხი ვერსის მანძილზე, სანაქებო გოგირდის წყლისა, ოთხი აუზით, რვა ოთახით თვისი მოწყობილობით იძლევა იჯარით **ხელსაყრელს ფასში**, შეიძლება გაყიდვაც. **ადრესი:** ქუთაისი კაზაკოვის ქუჩა, მახულიას სახლები, ვერა უგრეხელიძე.
(6.—6.—5)

## მასწავლებელი ქალები

იყვანენ მოწაფეებს მოსამზადებლად, ამეორებინებენ გაკვეთილებს როგორც სახლში, ისე თავიანთთან, აგრეთვე იყვანენ პანსიონერებად ან ნახევარ პანსიონერებად.

**ადრესი:** ავლაბარი, მარტყოფისა და აბსერვატორიის ქუჩების კუთხეში. დილის 8—2 საათამდის. (10—6)

პირველი კერძო სამკურნალო
## დოქ. ნავასარდიანისა
დაარსებულია 1880 წ.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ყოველ დღე ავადმყოფებს ღებულობენ
**ექიმები:**

**ზ. ა. ნავასარდიანი**; 11—12 ს. ქირურგ. ვენერიული (სიფილისი) და საშარდე.

**უ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**ზ. ი. ზაზანაშვილი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვების.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**ა. მ. მუგანლოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**გ. ი. გოგიჩაშვილი:** 1—2 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგანი და საბავშვო.

**ა. ი. მზერიშანანა:** 1½—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

**გ. ი. გურგენოვი:** 1—2 საათ. ქალებისა და საბებიო.

**საღამოთი:**

**ა. ი. გრიგორიანი:** 6—7 ქირურ., ვენერ., შარდ. და კანისა.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი
მედიც. დოქტორი **ზ. ა. ნავასარდიანი.**
(ხალ.—173)

## ხიმშიაშვილის და დიასამიძის

მამულში საბურთალოსთან, ვერაზე იყიდება მიწები, დაყოფილი ნაჭრებად 24, 40 და 70 კაპ. საჟენი წლის გადახდის ვადით.

სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურის სახლი, **№ 153 მაჭავარიანი, გელოვანი.**
(10—438—5)

## საგანგებო ომნიბუსი მალაკანისა

ტფილისიდან სიღნაღამდინ სიარულს იწყებს დეკემბრის 5-დან.

კანტორა ავლაბარში, მეიდანზე, არტემ პოღოსოვის დუქანში. (3—470—2)



## საუკეთესო სადგომებისთვის

და საზოგადოდ, სადაც დიდი სინათლეა საჭირო, გვრჩევთ გაზის ლამფებს

## „ჩუდო“-ს

—(პატენტი კრეინგელისა).—

ეს ლამფა ათასობით არის გავრცელებული

ერთად-ერთი წარმომადგენელი

## კ. ბობილევი ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

ლამფები ქირითაც იძლევა

(3—ხალ.—3)


# ანგარიშთა მდგომარეობა

ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა.

1 ნოემბერს 1907 წელს.

აქტივი (აქვს).

| | | | |
|---|---|---|---|
| I. კასსა, ნაღდი ფული. . . . . | | 9851 | 8 |
| II. სახელდახელო ანგარიში ქუთ. გან. აზ. დ. კ. ბანკში. . . . . | | 729 | 96 |
| III. სარგებლ. ქაღალ. . . . . | | | |
| ა) სათადარიგო თანხ. ანგარ. მ. | 300,— | | |
| ბ) საზოგადოების ანგარ. „ | 702,50 | 1002 | 50 |
| IV. განაღდება თამასუქებისა, არა ნაკლებ ორის ხელის მოწერით . | | 42333 | 70 |
| V. განაღდება სარგ. ქაღალდ. კუპონები და სხვა . . . . . | | 1783 | 75 |
| VI პროტ. წასული თამასუქ. (უზრუნ. ყოფ. თანხ. იხ. გ. პას.) . . . | | 3925 | 55 |
| VII. სესხი გაც. გირავ. . . . . | | | |
| ა) სარგ. ქაღალდები უზრ. ყოფ. სარგ. . . . . . „ | 130,— | | |
| ბ) სარგ. ქაღალდები არა უზრ. ყოფ. მთავ. მიერ. . . . „ | 10061,83 | | |
| გ) შავ. ქვაზ. (2701000 ფ.) „ | 64506,93 | | |
| დ) საქონელზედა . . „ | 1000,— | 75698 | 76 |
| VIII. კორესპონდენტ. . . . . | | | |
| ა) იმათ. ანგარ. . . . მ. | 4497,19 | | |
| ბ) საზოგ. „ . . . . . „ | 370,40 | 4867 | 59 |
| IX. გერბ. ქაღ. და თამ. . . . . . | | 338 | 20 |
| X გარდამავ. თანხა. . . . . . | | 3770 | 27 |
| XI. მოწყობა-გამართვა საზოგად. . | | 2508 | 52 |
| XII. მოვალ. საზოგ. . . . . . | | 424 | 59 |
| XIII. ხარჯი დასაბრ. . . . . . | | 1166 | 71 |
| XIV. ზარალი 1905 წ. . . . . | | 261 | 42 |
| XV. მიმდინარე ხარჯი . . . . . | | 8690 | 06 |
| **ბალანსი.** | | **157352** | **76** |

(მართებს) პასსივი.

| | | | |
|---|---|---|---|
| I. თანხა, რაიცა შესდგება 10% შემ. საწ. ფულით 222 წევრთა მიერ, მიცემულ ვალდებ. რაოდ. საზ. წინაშე. . . . . . . . | | 19980 | — |
| II. დასაბრ საწევრო ფული, თანახმად §§ 12 და 14 წეს. საზოგ. . | | 208 | 29 |
| III. თანხა: . . . . . . . | | | |
| ა) სათადარიგო . . . . მ. | 752,40 | | |
| ბ) ამორტიზაც. . . . . „ | 769,53 | | |
| გ) პროტ. წას. თამასუქების უზრ. საყ., შემდგ. 1906 წ. მოგებიდ. . . . . . . „ | 5119,23 | 6641 | 16 |
| IV. შემოტ. ფული: . . . . . | | | |
| ა) სახელდ. ანგ. . . . მ. | 33771,21 | | |
| ბ) ვადით . . . . . . „ | 23073,31 | | |
| გ) უვადოთ . . . . . . „ | 1000,— | 51844 | 58 |
| V. განაღდ. თამას. საზოგად. მიერ. | | | |
| ა) სახელმ. ბანკ. განყოფ. მან. | 3205,— | | |
| ბ) აზ. დ. კ. ბანკ. ქუთ. განყ. „ | 5381 — | 8586 | — |
| VI. საგანგებო სახ. ანგარ. უზრ. ყოფ. | | | |
| ა) სარგებლ. ქაღალდ. მან. | 707,20 | | |
| ბ) შავის ქვის . . . . „ | 34696,85 | 35401 | 05 |
| VII. სესხი აღებ. საზ. მიერ შავი ქვის გირავნობით . . . . . . | | 1330 | 9[illegible] |
| VIII. კორესპონდენტ. . . . . | | | |
| ა) იმათის ანგ. (Loro) . . „ | 2004,40 | | |
| ბ) საზგ. ანგარ. (Nostro) . „ | 4590,79 | 6595 | 19 |
| IX. გადასაგზ. შემოტ. ფული. . . | | 514 | 50 |
| X. გარდამავ. თანხა. . . . . . | | 5184 | 37 |
| XI. სარგებელი გარდ. . . . . | | 167 | 11 |
| XII. 5% სახელ. გარ. . . . . | | 5 | 33 |
| XIII. წმინდა მოგება. 1906 წ. . . . | | — | — |
| XIV. შემოსული სარგებელი, გამოკლებით გაწეულისა . . . | | 11891 | 23 |
| **ბალანსი.** | | **157352** | **76** |

თავმჯდომარე გამგეობის თავ. კ. გ. აბაშიძე.
ბუხჰალტერი სოფ. ტარუაშვილი.

დირექტორები: თ. ვ. ჯაფარიძე, ა. ზ. გაცუტაშვილი.

სტამბა „ივერია“ (მ. დ. კიკნაძისა) ნიკოლოზის ქ. № 6.